

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის
ყოველწლიური ანგარიში და მომდევნო წლის
სამოქმედო გეგმა

თბილისი
2019

შინაარსი

კანონშემოქმედება	3
საპარლამენტო კონტროლი	43
საგარეო და საშინაო პოლიტიკა	69
ღია პარლამენტი	71
საქართველოს პარლამენტის აპარატი	73
საქართველოს პარლამენტის 2019 წლის გეგმები	77

კანონშემოქმედება

საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კანონშემოქმედება. საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო მუშაობა ამ მხრივ საკმაოდ დატვირთული იყო. 2018 წლის განმავლობაში გაიმართა პარლამენტის 51 სხდომა, მათ შორის, 16 – რიგგარეშე. სულ მიღებულ იქნა 705 კანონი. მათგან საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა 410 კანონი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ – 1 კანონი, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მიერ – 36 კანონი, საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების მიერ – 1 კანონი, ხოლო საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ – 257 კანონი. მიღებულ იქნა 2221 დადგენილება, მათ შორის, 58 – საკადრო საკითხებზე, 49 – საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების, მემორანდუმის, კონვენციის რატიფიცირების თაობაზე, და 1 რეზოლუცია.

საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც 2018 წლის მარტში დასრულდა და რომლის შედეგადაც შეიქმნა ეროვნულ სამართლებრივ რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დოკუმენტი, საქართველოს გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების მყარი საფუძველია. ამას ადასტურებს ვენეციის კომისიის შეფასებაც, რომლის თანახმად: „საკონსტიტუციო რეფორმამ საბოლოოდ დაასრულა საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესი და ის წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება რა დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ფუნდამენტური უფლებების დაცვას.“

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით დამკვიდრებული საპარლამენტო მმართველობის მოდელი მოითხოვდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ახლებურ გააზრებას, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო. აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა ამ რთულ ამოცანასაც ღირსეულად გაართვა თავი და შექმნა ევროპული სამართლებრივი კულტურის მაღალი სტანდარტების შესაბამისი ახალი რეგლამენტი. ამის შედეგად კიდევ უფრო გამოიკვეთა პარლამენტის საზედამხედველო როლი სახელმწიფო მმართველობის სფეროში და გაჯანსაღდა პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობები.

2018 წელს პარლამენტის კიდევ ერთი მასშტაბური ამოცანა იყო საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია. ამ მიზნით ცვლილება იქნა შეტანილი 100-ზე მეტ კანონში, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში შეიქმნა სრულიად ახალი საკანონმდებლო აქტები.

მასშტაბურად გადაისინჯა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მოწესრიგდა საომარი და საგანგებო მდგომარეობების გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხები; განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის გამოცემის დეტალები; დაზუსტდა თავდაცვის ძალების მართვის საკითხები როგორც მშვიდობიანობისას, ისე საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს. ჩამოყალიბდა რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემა, რომელიც უპასუხებს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებსა თუ გამოწვევებს და საჭიროების შემთხვევაში იძლევა ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას.

მოქალაქეობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით ახლებურად ჩამოყალიბდა საქართველოს მოქალაქეობის ფლობის წესი. ახალი რეგულაციებით დადგინდა უკეთესი პირობები ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ათასობით თანამემამულისთვის, რომლებიც ამჟამად არ ფლობენ საქართველოს მოქალაქეობას, თუმცა სურთ დაიბრუნონ ეს სტატუსი. აგრეთვე მოწესრიგდა უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა და ჩვენს ქვეყანაში მუდმივად ყოფნის ისეთი რეგულაციები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების კვალდაკვალ უწინდებურად რჩება ქართული სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტად. ამ გამოწვევის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ემსახურება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის საქართველოს სახელმწიფო სერვისებისა და განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, აგრეთვე მათ ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ საზოგადოებასთან.

პარლამენტი ტრადიციულად განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს განათლების სფეროსადმი, იქნება ეს სასკოლო, უმაღლესი თუ პროფესიული განათლება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ნოემბერში ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – „დედაენის“, ანუ, ქართული საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის საკანონმდებლო დონეზე დაცვა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. აგრეთვე, განსაკუთრებული პრიორიტეტია სკოლებში მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ კუთხით დადგინდა საგანმანათლებლო

დაწესებულების მანდატურის სამსახურის დამატებითი ფუნქციები, რომელთა მიხედვითაც, სამსახურს დაევალა სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. ამავ დროს, გრძელდება ინტენსიური მუშაობა პედაგოგების პირობების გაუმჯობესებისათვის. აღსანიშნავია კონსტიტუციური გარანტია, რომელიც განამტკიცებს აკადემიურ თავისუფლებასა და უნივერსიტეტების ავტონომიას. გასულ წელს განხორციელებული ცვლილებებით აგრეთვე დაიხვეწა პროფესიული განათლების სისტემა და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება გაცილებით ეფექტიანი გახდა.

პარლამენტი ზრუნავს სამუშაო ადგილებზე მაღაროელების, მშენებლების და სხვა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაღალი რისკის შემცველი პროფესიების წარმომადგენელთა შრომის უსაფრთხო პირობების გაუმჯობესებაზე. ამის გამოძახილი იყო ის მკაფიო კონსტიტუციური გარანტიები, რომლებიც სახელმწიფოს უზენაესი კანონის ახალ რედაქციაში აისახა. ამასთანავე, მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწაზე. პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი, რომლის მიზანია, განისაზღვროს შრომის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი, დადგინდეს ქმედითი და ეფექტიანი აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისი.

ცვლილებები განხორციელდა თამბაქოს მოხმარების, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ავტომანქანების ტექნიკური ინსპექტირების, პროდუქტების უსაფრთხოების ზედამხედველობის და სხვა მომიჯნავე სფეროებში. საკანონმდებლო დონეზე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები გარემოს დაცვის მიმართულებით, რაც გამოიხატა ჩვენი დაცული ტერიტორიების საზღვრების დაზუსტებით, ტყის ეროვნული აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებით, შავი ზღვის დაცვის სტრატეგიის შესამუშავებლად ნორმატიული ბაზის დადგენით და სხვა.

აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. მისი მიზანი იყო მცირე ბიზნესის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ორგანიზაციებისათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის მექანიზმების ცვლილება, ცალკეულ დასაბეგრ ოპერაციებზე საგადასახადო შეღავათების დაწესება, ზოგიერთი კატეგორიის გადამხდელთათვის დარიცხული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა, საგადასახადო სანქციების შემსუბუქება და სხვა.

ჭარბვალიანობის პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს მთავრობასთან ერთად განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მოსახლეობის ფართო ფენებზე იმოქმედებს. მსესხებელს შესაძლებლობა ექნება, აიღოს იმ რაოდენობის სესხი, რომლის მომსახურებასაც შეძლებს. ის გარემოება, რომ მსესხებელი თავისი შემოსავლებით და ლიკვიდური აქტივებით მოემსახურება სესხს, უზრუნველყოფს პასუხისმგებლობიანი დაკრედიტების სისტემის შექმნას. ამ ყველაფრის ფონზე, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კვლავ რჩება სოციალურად ორიენტირებულ მთავარ ფინანსურ დოკუმენტად, რომლის პრიორიტეტია ეკონომიკის ზრდა.

საქართველოს პარლამენტმა გასული წელი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით არსებული საჭიროებების ანალიზსაც დაუთმო. კერძოდ, განხორციელდა მასშტაბური ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის რეგიონებსა და თვითმმართველ ერთეულებში მოსახლეობასა და დაინტერესებულ სუბიექტებთან „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე საჯარო კონსულტაციები ჩატარდა. აღნიშნული ინიციატივა ემსახურებოდა კანონპროექტში საზოგადოების ფართო ფენების მოსაზრებების ასახვას.

კომიტეტების კანონშემოქმედებითი საქმიანობის დეტალური ანგარიში

აგრარულ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტმა ჩაატარა 26 სხდომა. განხილულ იქნა 125 საკითხი, მათგან 108 – კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით. მათ შორის აღსანიშნავია:

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი.

ორგანული კანონის პროექტი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებასა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, ქვეყნის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. იგი აგრეთვე დაარეგულირებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებასთან (მათ შორის, უცხოელების საკუთრებასთან) დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ორგანული კანონის პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მიწას აღიარებს სახელმწიფოს ეროვნულ სიმდიდრედ, რომელსაც სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების

რეალიზებისათვის განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღირებულება აქვს, და განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოწურვადი რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპებს, დაადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს ეროვნულ უსაფრთხოებასა და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას.

- „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

კანონპროექტის მიზანია მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის და მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის, მიწის ბალანსის შედგენის და სტატისტიკური მონაცემების წარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, სახელმწიფო უწყებათა ინსტიტუციურ უფლებამოსილებათა განსაზღვრა და მართვის ერთიანი მექანიზმის შექმნა.

კანონპროექტის ერთ-ერთი სიახლე იქნება მიწის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შექმნა. კანონით განისაზღვრება სააგენტოს სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებამოსილება.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და კატეგორიების ცვლილების საკითხი, რაც დღეს ერთ-ერთი პრობლემაა, ვინაიდან ამ სფეროს კანონმდებლობა ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა. დარეგულირდება მიწის ბალანსის წარმოების, მიწის რესურსების აღრიცხვისა და ერთიანი ბანკის შექმნის, ნიადაგების ეროზიისა და დეგრადაციის საწინააღმდეგო, აგრეთვე ნაყოფიერების აღდგენასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხები.

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ზოგიერთ საკითხის (უპირატესი შესყიდვის უფლება, მიწის ნაკვეთის დაყოფა და სხვა) მოწესრიგება.

- „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

კანონპროექტის მიღების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების აღდგენის, გაშენების, მოვლისა და დაცვის

ხელშეწყობა, ქარით გამოწვეული ნიადაგის ეროზიული პროცესების თავიდან აცილება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე გაშენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღმოცენებისა და ზრდა-განვითარებისათვის და მათი მოსავლიანობის გაზრდისათვის შესაბამისი ნიადაგური და მიკროკლიმატური გარემოს უზრუნველყოფა; ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ქარსაფარ ზოლებში მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების გამოყენების ხელშეწყობა.

კანონპროექტი ქმნის საფუძველს, რათა განისაზღვროს ქვეყანაში ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა, დადგინდეს ქარსაფარი ზოლების აღდგენასთან, გაშენებასთან, მოვლასა და დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

2018 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ჩაატარა 43 სხდომა და განიხილა 583 კანონპროექტი, მათ შორის: 96 საკანონმდებლო ინიციატივა, 41 ცალკე კანონპროექტი (სულ 545 კანონპროექტი) და 55 საკანონმდებლო პაკეტი; 3 საკანონმდებლო წინადადება; 3 პარლამენტის დადგენილების/რეზოლუციის პროექტი; 6 სარატიფიკაციო დოკუმენტი; 1 პარლამენტის რეკომენდაციის პროექტი. მათგან 11 საკანონმდებლო ინიციატივა და 3 საკანონმდებლო წინადადება კომიტეტმა განიხილა, როგორც წამყვანმა კომიტეტმა. კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებზე კომიტეტმა წარადგინა 307 კრიტიკული შენიშვნა. მათ შორის:

- ქვეყანაში პრევენციაზე ორიენტირებული სოციალური მუშაკის სისტემის შექმნის მიზნით დაწყებული სოციალური მუშაკის ინსტიტუტის რეფორმის ფარგლებში საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 13 ივნისს მიიღო „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს №2473-III კანონი და თანამდევ კანონთა პაკეტი.

აღნიშნული ინიციატივით შეიქმნა სოციალური მუშაობის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის უფლებების დაცულობას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან გვერდით დგომას საჭიროებს, ასევე თითოეული სოციალური მუშაკისთვის გარანტიების შექმნას იმისათვის, რომ მან პირნათლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა და უზრუნველყოს თითოეული ბენეფიციარის უფლებების რეალიზება.

კანონით ერთმანეთისგან გამიჯნულია სოციალური მუშაკის ძირითადი და სპეციალური ფუნქციები, რათა სოციალურმა მუშაკმა კვალიფიციურად შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება, მისთვის ნათელი და მკაფიო იყოს საკუთარი

უფლებამოსილებები. პრევენციული სოციალური მუშაობა განსაზღვრულია, როგორც სოციალური მუშაკის უმთავრესი ფუნქცია. ანუ, სოციალური მუშაკი რეაგირების რეჟიმში კი არ უნდა იყოს, როდესაც ზიანი უკვე დამდგარია, არამედ უნდა გააქტიურდეს მანამ, სანამ საფრთხე შეიქმნება ან ზიანი დადგება.

კანონით განსაზღვრულია სოციალური მუშაკის პროფესიულ კვალიფიკაციას. იგი სოციალური მუშაკის პროფესიისათვის აყალიბებს ძირითად მოთხოვნებს და ადგენს, თუ რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს სოციალური მუშაკი. მათ შორის, სწორედ აღნიშნული რეგულაცია იწვევს ამ პროფესიის რეგულირებად პროფესიად ქცევას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოციალური მუშაკის კვალიფიკაციის ამაღლებას და ხარისხიანი სოციალური მუშაობის სისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში.

კანონით ასევე განსაზღვრულია სოციალური სამუშაოს გარკვეული ნაწილის დეცენტრალიზაცია. პირველ ეტაპზე ეს იქნება დელეგირებული უფლებამოსილება, სადაც კონტროლის ფუნქციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რჩება.

კანონით მნიშვნელოვნად უმჯობესდება სოციალური სამუშაოს შესრულების პირობები, სოციალური მუშაკის შრომითი გარანტიები და რეგულირდება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ფარგლები. კანონით ასევე გათვალისწინებულია განსაკუთრებული გარანტიები სოციალური მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში ან მისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას და ზრდის მისი უსაფრთხოების გარანტიებს.

- ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 6 ივნისს მიიღო „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს №2473-რს კანონი და თანამდევ კანონთა პაკეტი.

კანონის მიღება ემსახურება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის საქართველოს სახელმწიფო სერვისებისა და განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და მათ ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე მცხოვრებ საზოგადოებასთან. იქმნება სხვადასხვა საკითხის ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით გადაწყვეტის შესაძლებლობა. ინიციატივა ეხმიანება მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს და ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული პირის კონსტრუქციული მონაწილეობისთვის, საზოგადოებრივი დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. აღნიშნული

ინიციატივის განხორციელება საგრძნობლად გააუმჯობესებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას მოახდენს გადაადგილების თავისუფლებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

- 2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

აღნიშნული კანონით შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა. მას გადაეცემა ამჟამად მოქმედი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებები – პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, აგრეთვე ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების სფეროში მოექცევა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.

აღნიშნული რეფორმა ეხმაურება არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, საერთაშორისო ექსპერტისა და საქართველოს სახალხო დამცველის (2013–2017 წლების ანგარიშები) რეკომენდაციებს დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე და ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

- საქართველოს პარლამენტში განიხილება საქართველოს პარლამენტის წევრების – სოფიო კილაძის, დიმიტრი ცქიტიშვილის, აკაკი ზოიძისა და თამარ ხულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და თანამდევი საქართველოს კანონების პროექტები – „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/224; 13.09.2018).

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია, განისაზღვროს შრომის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი, დადგინდეს ქმედითი და ეფექტიანი აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი

ბაზისი, გაიმიჯნოს და დაკონკრეტდეს დამსაქმებლის, დასაქმებულის, მათ შორის, უსაფრთხოების დაცვასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი პირის და შრომის ინსპექციის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის ფარგლები, რაც გახდება შრომითი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, შრომის ნაყოფიერებისა და ცნობიერების ამაღლების, სამუშაო ადგილებზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტი. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 27 დეკემბერს მეორე მოსმენით მიიღო.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა ჩაატარა 37 სხდომა. კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, 11 კანონპროექტზე განისაზღვრა წამყვან კომიტეტად, მათ შორის, 2 კანონპროექტი იყო კომიტეტის ინიციატივა, 3 – საქართველოს პარლამენტის წევრის ინიციატივა, 6 – საქართველოს მთავრობის ინიციატივა. მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/188; 05.04.2018).

კანონპროექტით განისაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დამატებითი ფუნქციები, რომელთა მიხედვითაც, სამსახურს დაევალა სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. კერძოდ, გაიზარდა მანდატურის სამსახურის თანამშრომლების აკადემიური განათლებისა და პროფესიული მზადების კრიტერიუმების მოთხოვნები, დადგინდა სკოლების შიდა და გარე პერიმეტრების ვიდეომონიტორინგის განახლებული რეგულაციები, მანდატურის სამსახურის უფლება-მოვალეობებში ნათლად განისაზღვრა საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის, მათზე რეაგირებისა და სხვა საკითხები. განხორციელებული ცვლილებების მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საქმიანობის განვითარება სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშესაწყობად.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „პროფესიული განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უმაღლესი განათლების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეზღვართა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეთევზე-მეთაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-2/212; 10.05.2018).

კანონპროექტების მიზანია ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და თავსებადობა. აღნიშნული ინიციატივის საფუძველზე ხდება პროფესიული განათლების საფეხურზე ე. წ. საკანონმდებლო ჩიხის აღმოფხვრა. კერძოდ, 2019-2020 სასწავლო წლიდან დაინერგება ინტეგრირებული პროგრამები და, კოლეჯის სასწავლო პროგრამების პარალელურად, სტუდენტებს მიეცემათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატის მიღების შესაძლებლობა, რაც დაინტერესებულ პირებს განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების უფლებას მიანიჭებს. ამასთანავე, აღნიშნული კანონპროექტით კოლეჯს ენიჭება უფლება, რომ მოახდინოს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების რეინვესტირება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით. კანონპროექტი უპასუხებს აღნიშნული სფეროს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზანს და ემსახურება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანებს.

- საქართველოს პარლამენტის წევრების – მარიამ ჯაშის, გენადი მარგველაშვილისა და სიმონ ნოზაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/189; 07.06.2018).

კანონში შეტანილი ცვლილებით განიმარტა „მასწავლებლობის მაძიებლის“ ცნება და სისტემა. მასწავლებლობის მაძიებელი ვალდებულია ჰქონდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ცვლილება სკოლებში დასაქმების შესაძლებლობას აძლევს მოტივირებულ ახალგაზრდა კადრებს, რომელთაც არ აქვთ მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, თუმცა აქვთ საგნის სწავლებისთვის საჭირო შესაბამისი კომპეტენცია და უნარები, რაც ხელს შეუწყობს ზოგიერთ სკოლაში პედაგოგიური კადრების მხრივ არსებული დეფიციტის აღმოფხვრას. კანონში გაჩნდა „მოწვეული მასწავლებლის“ ცნება. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციას მიენიჭა მასწავლებლად იმ პირის მოწვევის უფლება, რომელიც არ არის ჩართული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, თუმცა აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის ან/და სწავლების გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია. ცვლილება ქმნის მოქნილ სისტემას არჩევითი და ფაკულტატიური საგნების მასწავლებელთა დროებით ასაყვანად.

აღნიშნული ცვლილებით ასევე გაჩნდა „შემცვლელი მასწავლებლის“ ცნება. სკოლის ადმინისტრაციას შეეძლება დროებით (დეკრეტული შვებულების, ავადმყოფობის, სწავლის ან სხვა გარემოების გამო) არმყოფი მასწავლებელი შეცვალოს პირით, რომელიც არ არის ჩართული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, თუმცა შემცვლელ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. შემცვლელი მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია 1 წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამასთანავე, აღნიშნული ინიციატივით სპეცპედაგოგები ჩართულ იქნენ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რაც ინკლუზიური განათლების სფეროში ჩართული კადრების პროფესიული კვალიფიკაციისა და მოტივაციისათვის გარდამტეხი ცვლილებაა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა ჩაატარა 33 სხდომა. კომიტეტი წამყვანი იყო 18 კანონპროექტზე. კომიტეტმა ცნობად მიიღო 2 საკანონმდებლო წინადადება, რომელთა საფუძველზე მომზადდა „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ საქართველოს კანონის

პროექტი და მისგან გამომდინარე 5 კანონპროექტი, რომლებიც 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე წარედგინა პარლამენტს განსახილველად. კომიტეტმა სავალდებულო დასკვნის მოსამზადებლად განიხილა 128 კანონპროექტი და 9 საერთაშორისო ხელშეკრულება. კომიტეტის მიერ ინიცირებულია 2 კანონპროექტი, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების მიერ – 21 კანონპროექტი. მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/94/9, 14.06.2017) (მიღებულია 2018 წლის 23 მარტს).

„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში და, შესაბამისად, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“, „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ და „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების განხორციელება გამოწვეულია აღნიშნული კანონებით განსაზღვრული ცალკეული დაცული ტერიტორიების საზღვრების დაზუსტებით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ა(ა)იპ „კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდიდან“ გამოყოფილი თანხებით დაზუსტდა/დაკორექტირდა დაცული ტერიტორიების საზღვრები. კერძოდ, დაზუსტდა სათაფლიის აღკვეთილის, თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლის, ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლის, ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლის, ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლის, ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლის, იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლის, საკაჟის მღვიმის ბუნების ძეგლის, წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლის, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის, ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლის, გაბზარული ტბის ბუნების ძეგლის, საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლის, სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლის, დიდღელის მღვიმის ბუნების ძეგლის, მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლის, ბღერის მღვიმის ბუნების ძეგლის, ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლის, ბაღდის კანიონის ბუნების ძეგლის, ონიორის ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლების, ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლების, მოთენას მღვიმის ბუნების ძეგლის, ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლის, ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლის, ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლის, მდინარე აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლის, დამზაშის კანიონის ბუნების ძეგლის, სამშვილდის კანიონის

ბუნების ძეგლის, მუხურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლის, ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის, ბირთვისის ბუნების ძეგლის, კოლხეთის ეროვნული პარკის, ყაზბეგის ეროვნული პარკისა და თბილისის ეროვნული პარკის საზღვრები.

- საქართველოს პარლამენტის წევრების: კახაბერ კუჭავას, ზაზა ხუციშვილის, ენძელა მაჭავარიანის და გელა სამხარაულის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონების პროექტები: „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/205/9; 28.06.2018) (მიღებულია 2018 წლის 22 დეკემბერს).

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შედეგად საქართველოს კანონმდებლობაში აისახა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციით (CITES) განსაზღვრული საკითხები. ამ ეტაპზე საქართველო მიეკუთვნება მე-2 კატეგორის ქვეყნებს, რომელსაც ქვეყანას ანიჭებს კონვენციის სამდივნო შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს. ცვლილება საქართველოს საშუალებას აძლევს, გადავიდეს იმ ქვეყნების კატეგორიაში, რომელთა კანონმდებლობა შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს. სათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/239; 05.11.2018) (მიღებულია 2018 წლის 26 დეკემბერს).

წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელებამდე სახელმწიფო ტყის ფონდის კონტროლის ფუნქცია გადანაწილებული იყო ტყის ფონდის მართვის ორგანოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის. ფუნქციების მეტ-ნაკლებად გამიჯვნის პირობებში მათი აღსრულებისას არსებობდა მრავალი ხარვეზი, განსაკუთრებით – ზედამხედველობა-კონტროლის ნაწილში ფუნქციების

გადაფარვის თუ დუბლირების სახით, რაც, საბოლოო ჯამში, ვერ იძლეოდა სასურველ შედეგს.

პრობლემების გადაჭრის გზად მიჩნეულ იქნა კონტროლის ერთიან სისტემაში მოქცევა და ამ მიზნით აღნიშნული ფუნქციის მქონე ერთიანი სტრუქტურის შექმნა. კონტროლის ფუნქციის ერთი ორგანოსათვის მინიჭება უზრუნველყოფს უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების პრევენციაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე ორიენტირებული სპეციალიზებული სისტემის შექმნას, რომელიც ფუნქციურად ფოკუსირებული იქნება მხოლოდ ერთ მიმართულებაზე – კონტროლის განხორციელებაზე, რაც უკანონო ტყითსარგებლობის პრევენციასა და აღკვეთაზე დადებით გავლენას მოახდენს.

- საქართველოს პარლამენტის წევრების – კახაბერ კუჭავას, არჩილ თალაკვაძისა და მამუკა მდინარაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/210; 18.07.2018) (მიღებულია 2018 წლის 30 ნოემბერს).

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების უმნიშვნელოვანესი წყაროა საავტომობილო გაფრქვევები, რომლებიც მთლიანი გაფრქვევების 71%-ს შეადგენს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში საქართველოს ქალაქები განსაკუთრებით გადაიტვირთა სატრანსპორტო საშუალებებით, რომელთა ტექნიკური გამართულობა ბევრ შემთხვევაში არ შეესაბამება სტანდარტებს, ნათელი ხდება ამ მიმართულებით ქმედითი და დროული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა.

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოში ელექტროძრავიანი ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისათვის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ელექტროძრავაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზრდას. საბოლოოდ, ეს ემსახურება მწვანე ეკონომიკის ზრდას და მდგრად განვითარებას, რაც, თავის მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

2008 წლის განმავლობაში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა ჩაატარა 46 სხდომა. საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა 490

კანონპროექტი (გამომდინარე კანონპროექტების ჩათვლით), მათ შორის, 90 კანონპროექტზე კომიტეტი იყო წამყვანი, ხოლო 400 კანონპროექტზე სავალდებულო დასკვნა მოამზადა. მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს კანონის პროექტი „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები (№07-2/2; 24.11.2016).

კანონპროექტის პრიორიტეტულობისა და სირთულის გათვალისწინებით, მისი განხილვის პროცესში კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო დარგის ექსპერტების მიერ მითითებული ყველა ძირითადი გამოწვევისა და საკითხის განხილვა, რომლებიც, მათი აზრით, კანონპროექტში ასახვას საჭიროებდა. შეხვედრებში კომიტეტის წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ დარგის ექსპერტები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები.

კანონპროექტის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნების უმრავლესობა გათვალისწინებულ იქნა.

აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, კომიტეტთან შეიქმნა „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო“, რათა გაგრძელდეს მუშაობა იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებითაც შემდგომ მოხდება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის სრულყოფა.

- საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები (№07-2/130; 28.09.2017).

საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავდა საჯარო და კერძო თანამშრომლობის გამჭვირვალე, ეფექტიანი და თანამედროვე სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, საინვესტიციო გარემოს და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნას.

- საქართველოს კანონის პროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები (№07-2/161; 29.12.2017).

დაინერგა საქართველოს ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე ზედამხედველობის სისტემა ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომების დირექტივების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო აქტების აღსრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების, დარგობრივი მიმართულებებით საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებზე მუშაობისას, ასევე სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა ჩაატარა 25 სხდომა. საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით, დარგობრივი სპეციფიკის/კომპეტენციის გათვალისწინებით, საყურადღებოა აგრეთვე კომიტეტის მიერ განხილული შემდეგი კანონპროექტები:

- საკონსტიტუციო ცვლილებებთან დარგობრივი კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კომიტეტმა განიხილა საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/178; 24.05.2018; 2018 წლის 18 ივნისის სხდომა).

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს მოქალაქე იმავდროულად შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, თუ ის აკმაყოფილებს კანონპროექტით განსაზღვრული საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მოპოვების ან საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების პირობებს. კანონპროექტით ასევე დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქე ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში, თუ იგი აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებამდე საქართველოს სახელმწიფოსგან მიიღებს თანხმობას საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე. სიახლეა მოქალაქეობის აღდგენის დროებითი უფლება. კერძოდ, საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, უფლება ეძლევა, მიმართოს შესაბამის სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ გამოთქმული ძირითადი შენიშვნები გაზიარებულ და მიღებულ იქნა, რითაც ქართულმა სახელმწიფომ გაითვალისწინა და დააკმაყოფილა ჩვენი ემიგრაციის ფუნდამენტური ინტერესები;

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით (№07-2/208; 03.05.2018; 2018 წლის 24 მაისის სხდომა).

გათვალისწინებული საკითხი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის მეტად აქტუალური იყო: არსებული კანონმდებლობით, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის

მოქალაქეები და საქართველოს მოქალაქეები, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად, თანაბარი საგრანტო დაფინანსების პირობებით სარგებლობდნენ. ვინაიდან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირებს (ახალგაზრდა დიასპორელებს) საქართველოში არ ჰქონდათ მიღებული სრული ზოგადი/უმაღლესი განათლება, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, ისინი კონკურენციას ვერ უწევდნენ საქართველოს მოქალაქეებს და არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში საქართველოში განათლების მიღებისას დაფინანსების გარეშე რჩებოდნენ. კომიტეტში შემოსული იყო ამ კატეგორიის პირთა არაერთი განცხადება, მათ შორის, ერთობლივი განცხადებები და საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა. საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებულია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო საგრანტო თანხების ახლებურად გადანაწილება, რათა მათი დაფინანსების სისტემა ეფექტიანად მოერგოს არსებულ რეალობას და, პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ხელი შეუწყოს ჩვენი თანამემამულეების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მეტწილად – ისტორიული ქართული დიასპორის წარმომადგენელთა, ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კანონპროექტი მიღებულ იქნა. ამასთანავე, კომიტეტმა სხდომაზე შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაცია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით, გაგრძელდეს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, პრაქტიკისა და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის გაანალიზება. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რაც თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს საშუალებას მისცემს, თავად აირჩიოს სახელმწიფო გრანტით დაფინანსების მოპოვების მისთვის სასურველი გზა, პროგრამა და ამ კატეგორიის პირთა სახელმწიფო დაფინანსება მოხდეს როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის კანონით დადგენილი წესით, მათი სურვილისა და არჩევანის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი იყო კომიტეტის მონაწილეობა 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში (სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სალომე ზურაბიშვილი), რომლის დროსაც კომიტეტის მთავარი საზრუნავი და მიზანი იყო უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება, რაც წარმატებით განხორციელდა. ამაზე მეტყველებს საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა მიღების შედეგად

საქართველოს კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების ნაწილში დიასპორის კუთხით უმნიშვნელოვანესი სიახლეები აისახა. კონსტიტუციაში პირველად გაკეთდა მკაფიო ჩანაწერი ქართული დიასპორის თაობაზე – „სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“. ამდენად, ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ კონსტიტუციურ ფუნქციად და საქმიანობის ძირითად მიმართულებად დიასპორაზე ზრუნვა განისაზღვრა. ასევე გაუქმდა კონსტიტუციის ის ჩანაწერი, რომელიც კრძალავდა ორმაგ მოქალაქეობას, რაც, თავის დროზე, დიდ სირთულეებს უქმნიდა ქართულ ემიგრაციას. ამჟამად ეს პრობლემა აღარ არსებობს: უცხოეთში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში აღარ დაკარგავენ საქართველოს მოქალაქეობას და შეძლებენ შეინარჩუნონ ქართულ სახელმწიფოსთან სამართლებრივი კავშირი. რაც შეეხება იმ კატეგორიის უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების საფუძველზე დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა, მათ უფლება და საშუალება ეძლევათ, გამარტივებული წესით აღიდგინონ საქართველოს მოქალაქეობა. კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობაში საკონსტიტუციო ცვლილებების ასახვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში (სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტის თავმჯდომარე და მისი პირველი მოადგილე). უმოკლეს ვადაში მომზადდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული კომიტეტის მიერ წარდგენილი შენიშვნები და წინადადებები, რაც ქართული ემიგრაციის თხოვნისა და ინტერესების გაზიარებას ემსახურებოდა.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

2018 წელს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა 28 კანონის პროექტი (თანამდევ კანონპროექტებთან ერთად), რომელთა მიღებაც ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან გამომდინარეობს. მათ შორის აღსანიშნავია:

- „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კანონით შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლე, რომლის ფუნქციაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი და ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი. კანონის პროექტის მიღება გამომდინარეობდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგიდან.

➤ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

განისაზღვრა შრომის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ასევე განისაზღვრა ქმედითი აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ნორმები. კანონის პროექტით მოხდა ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართით გათვალისწინებულ „სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების თაობაზე“ ევროკავშირის საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივასთან სამართლებრივი დაახლოება.

➤ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ევროკავშირში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, შეიქმნა ინდუსტრიულ და სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის სისტემა, რომლის მიზანია ბაზარზე განთავსებული პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კანონით განისაზღვრა ორგანო, რომელიც განახორციელებს ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე ზედამხედველობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათ არ შეუქმნან საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას ან/და გარემოს. კანონით საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა „პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 3 დეკემბრის 2001/95/EC დირექტივას.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

2018 წელს საქართველოს პარლამენტის ბიურომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი წამყვან კომიტეტად განსაზღვრა 129 საქართველოს კანონის პროექტზე. საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა იყო 78 კანონპროექტი (76

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მიიღო, 2 კანონპროექტთან დაკავშირებით საკანონმდებლო პროცესი არ გაგრძელდა), საქართველოს პარლამენტის წევრების საკანონმდებლო ინიციატივა – 51 კანონპროექტი (49 კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მიიღო, 2 კანონპროექტთან დაკავშირებით საკანონმდებლო პროცესი არ გაგრძელდა). მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს პარლამენტის წევრების – ირაკლი სესიაშვილის, კობა კობალაძის, კობა ნარჩემაშვილის, გია ბენაშვილისა და პაატა მხეიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილების

შეტანის შესახებ“, „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარისა და წითელი კრისტალის ემბლემებისა და სახელწოდებების გამოყენებისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და

„ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონების პროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/183/9; 24.05.2018).

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მერვე თავი განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის მიზანი იყო ზემოაღნიშნული კანონების საქართველოს კონსტიტუციასთან ჰარმონიზაცია. ამ კუთხით მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები განხორციელდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში, ასევე ტერმინოლოგიური ცვლილებები განხორციელდა არაერთ საკანონმდებლო აქტში. განისაზღვრა სამართლებრივი აქტი, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტი გამოაცხადებს საომარ ან საგანგებო მდგომარეობას, აგრეთვე საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებაზე და საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერის პროცედურა, თავდაცვის საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილებები, თავდაცვის ძალების სახეობები და შემადგენლობა, აგრეთვე ის ერთეულები, რომლებიც საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში გადავლენ; ეროვნული სამხედრო სტრატეგია და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა გაერთიანდა ერთ დოკუმენტში – ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში; სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციულ დოკუმენტად განისაზღვრა ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა, რომელიც არის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის პასუხისმგებელი უწყებების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმების ერთობლიობა, და სხვა).

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მოზილიზაციის

შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-2/167/9; 25.01.2018)

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის მიზანი იყო რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უპასუხებს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს და საჭიროების შემთხვევაში იძლევა ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას. კანონის მნიშვნელოვან სიახლეს, რომ აქტიური სარეზერვო სამსახური ნებაყოფლობითი იქნება და აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთან კონტრაქტი გაფორმდება. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირს მიეცემა ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, რომელიც მისი წოდებრივი სარგოს 20%-ია, ხოლო გამომძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში – შრომის ანაზღაურების სრული ოდენობა. აქტიურ რეზერვში მყოფ პირს კონტრაქტით სამსახურის მთელი 5-წლიანი პერიოდი ჩათვლება შრომის საერთო სტაჟში, ხოლო გამომძახების შემდგომ სარეზერვო სამსახურის პერიოდი – კომპენსაციის დასანიშნ სტაჟში. რეზერვში გაწვევის შემთხვევაში რეზერვისტს შეუწარმობს სამუშაო ადგილი და ხელფასი.

სიახლეს ასევე კანონის რეგულაცია, რომლის თანახმადაც, 60 წელს გადაცილებული პირი მისი სურვილის შემთხვევაში შეიძლება დარჩეს ან ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში. ეს რეგულაცია ხელს შეუწყობს სამობილიზაციო რეზერვში პროფესიონალი კადრების ყოფნას. ამასთანავე, შეიცვალა სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისაგან გათავისუფლების, გაწვევის გადავადებისა და მობილიზაციის დროს რეზერვში მყოფი პირების დაჯავშნის წესი და პირობები. კერძოდ, საჯარო და კერძო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ დაწესებულებების ნუსხა და პროფესიების/თანამდებობების ჩამონათვალი, რომელთაც საომარი მდგომარეობის დროს არ შეეხებათ რეზერვში გაწვევა. კერძო და საჯარო დაწესებულებები ელექტრონული მართვის სისტემაში უშუალოდ შეიტანან აღნიშნულ პირთა შესახებ მონაცემებს, რომლებსაც ელექტრონული მართვის სისტემაში ასახვის შემდეგ გადაუვადდებათ სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურის გავლა.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონების პროექტები: „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „წიადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და

თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/209/9; 3.05.2018).

ახალი კანონით ახლებურად ჩამოყალიბდა სამოქალაქო უსაფრთხოების ცნება და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის არსი; გათვალისწინებულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის ახალი მოდელი, რომელიც ბევრად მარტივი და ეფექტიანი იქნება (მართვის სისტემის 5 დონის ნაცვლად იარსებებს 2 დონე – ადგილობრივი და ეროვნული); განისაზღვრა მოხალისეთა სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა შესაბამისადაც ჩამოყალიბდება ეს სისტემა; გათვალისწინებულ იქნა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ახალი ხედვა; გაიზარდა სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალი. სახანძრო ზედამხედველობას დაექვემდებარება ყველა სასტუმრო და საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტი; გაიზარდა ადმინისტრაციული ჯარიმები და პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის; დარეგულირდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ადრეული შეტყობინების სისტემა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქალაქეთა ინფორმირება. კანონით ეროვნული სისტემის სუბიექტებს დაეკისრათ ვალდებულება, მათი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყონ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და საქართველოს მოქალაქეთა მომზადება და მზადყოფნა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

2018 წლის განმავლობაში იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა 593 კანონპროექტი, მათ შორის წამყვანი კომიტეტის სტატუსით – 400 კანონპროექტი, ხოლო იმ კომიტეტის სახით, რომლის დასკვნა სავალდებულოა, – 193 კანონპროექტი. კომიტეტმა აგრეთვე განიხილა 53 საკანონმდებლო წინადადება და 2 პეტიცია. მათ შორის აღსანიშნავია:

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თანამდევ კანონპროექტებთან ერთად (№07-3/178/9).

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 32-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და

საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას აღარ განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ავტომატურ საფუძვლად. შესაბამისად, კანონპროექტის მიღება განაპირობა საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა და ამ ცვლილებების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის აუცილებლობამ.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან გამომდინარე, მოქალაქეობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებისას ურთიერობების ახლებურად რეგულირებას. ამასთანავე, გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, შეიქმნა თვისებრივად ახალი, თანამედროვე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობა.

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ თანამდევ კანონპროექტებთან ერთად (№07-3/193/9).

კანონპროექტის მიღების მიზანი იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, განმსაზღვრელია საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 24-ე, 37-ე, 50-ე, 52-ე, 54-ე და 74-ე მუხლები, რომლებიც ეხება საარჩევნო უფლებას, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს (არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის ნაწილში) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს. შესაბამისად, განხორციელდა საარჩევნო კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით გათვალისწინებულ დებულებებთან ჰარმონიზაცია.

- საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანამდევ კანონპროექტებთან ერთად (№07-2/250/9).

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილების მიღების უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულება და საკანონმდებლო რეგულაციების მასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების – მარიხუანის მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება. ამდენად, დღის წესრიგში დადგა არაერთი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავების აუცილებლობა, რაც წარმატებით დასრულდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს ზემოაღნიშნული კანონპროექტების მიღებით. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებულ იქნა შემდეგი აკრძალვები და რეგულაციები: აკრძალა მარიხუანის მოხმარება ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილისა და მის საკუთრებაში არსებული დამხმარე ნაგებობისა; ნარკოტიკების მოხმარების მავნე ზეგავლენისგან მოზარდების დასაცავად აკრძალა მარიხუანის 21 წლამდე ასაკის პირის მიერ მოხმარება; გამკაცრდა პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების პოპულარიზაციისთვის ან რეკლამირებისთვის; სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილი).

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი თანამდევ კანონპროექტებთან ერთად (№07-3/192/9).

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ჰარმონიზაციის მიზნით 2018 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელდა ცვლილება. ცვლილების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაშია არანაკლებ 28 მოსამართლე და მოსამართლეები უვადოდ აირჩევიან. იმავე ცვლილების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს მოსამართლე წევრთაგან 4 წლის ვადით აირჩევს საბჭო.

აღნიშნული ცვლილების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და თავმჯდომარის გადაყენება დასაშვებია მხოლოდ იმპიჩმენტის გზით. ამასთანავე, სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

- საქართველოს პარლამენტის წევრების – ევა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და რუსლან პოლოსიანის მიერ ინიცირებული „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი თანამდევ კანონპროექტებთან ერთად (№07-3/227/9).

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ჰარმონიზაციის მიზნით 2018 წელს ახლებურად განისაზღვრა პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონმა ორგანული კანონის სტატუსი მიიღო. ამასთანავე, პროკურატურა გახდა ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანო, საქართველოს იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებები პროკურატურის ნაწილში გადაეცა საქართველოს გენერალურ პროკურორს, იუსტიციის მინისტრი აღარ შედის საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში. გარდა ამისა, განისაზღვრა პროკურატურის საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების წესი და საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობიდან მხოლოდ იმპიჩმენტის გზით გადაყენების შესაძლებლობა.

- საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ თანამდევ კანონპროექტებთან ერთად (№07-2/80/9).

ცვლილებებით აღმოიფხვრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში არსებული პრაქტიკის სისუსტეები და გაძლიერდა მათი დაცვის მეთოდები, გამკაცრდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ სფეროში უკანონო ქმედებებისათვის – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა 40-ზე მეტი ცვლილება; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 2 ახალი მუხლი: 287¹ მუხლი – „სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევა“ და მუხლი 304¹ – „მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის ან საშეშე მერქნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ტრანსპორტირება“; ნარჩენების მართვის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით საქართველოს მთავრობას დაევალა, რომ მიიღოს „ტექნიკური რეგლამენტი – „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ დამტკიცების შესახებ“.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

საანგარიშო პერიოდი გამორჩეული იყო რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობის გააქტიურებით. ჩატარდა კომიტეტის 31 სხდომა, მათ შორის, 4 გასვლითი სხდომა. კომიტეტის სხდომებზე განხილულ იქნა 27 კანონის პროექტი, საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი 21 საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. კომიტეტმა მოამზადა 1 დადგენილების პროექტი. საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას მიეძღვნა კომიტეტის 2

სხდომა. კომიტეტმა მოამზადა 49 დასკვნა, მათ შორის, წამყვანი კომიტეტის სტატუსით – 2 დასკვნა, ხოლო იმ კომიტეტის სახით, რომლის დასკვნაც სავალდებულოა, – 29 დასკვნა. მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები (№07-2/256; 01.10.2018).

ამ კანონპროექტების თანახმად, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელდა ცვლილება და გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი. მის ნაცვლად მუნიციპალიტეტები მიიღებენ დამატებული ღირებულების გადასახადის 19 პროცენტს, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტებში 2019 წელს გადასარიცხი თანხა ჯამურად 110 მლნ ლარით გაიზარდა. მშპ-ს ზრდასთან ერთად, ეს თანხა ყოველწლიურად გაიზრდება. აღნიშნული ცვლილებით ფაქტობრივად გამოსწორდა ის ხარვეზი, რომელიც ჰქონდა გათანაბრებით ტრანსფერს, – მუნიციპალიტეტს საკუთარი შემოსავლის ზრდის პირდაპირპროპორციულად უმცირდებოდა სახელმწიფოსგან მისაღები ტრანსფერის ოდენობა და, აქედან გამომდინარე, საკუთარი შემოსავლის ზრდის ნაკლები ჰქონდა მოტივაცია.

- საქართველოს პარლამენტის წევრების – ზაზა გაბუნias, გოჩა ენუქიძისა და დავით სონღულაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/140; 22.03.2018).

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილების მიზანია მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გამომანგარიშების წესის შეცვლა სამართლიანი მიდგომის საფუძველზე, რაც გულისხმობს მომსახურებაზე ან/და უფლების მინიჭებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურების კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებას და მოსაკრებლის ოდენობის პროპორციულობის უზრუნველყოფას (დიდ და პატარა მშენებლობებს ერთნაირი გადასახადი არ ექნებათ).

- საქართველოს პარლამენტის წევრების – ზაზა გაბუნias, არჩილ თალაკვაძის, მარიამ ჯაშის, ბექა ოდიშარიასა და ალექსანდრე ქანთარიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/141; 22.03.2018).

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაზიანებასთან, იერსახის დამახინჯებასთან, გარე რეკლამების განთავსებასთან (არაქართულ ენაზე დამზადებული გარე სარეკლამო ბანერების დამზადება) და გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების გახშირება და ამ სამართალდარღვევებისთვის დადგენილი სანქციების ჩადენილი ქმედების მნიშვნელობასა და სიმძიმესთან შეუსაბამობა. კანონპროექტის მიღების მიზანია, გამკაცრდეს სანქციები ზოგიერთ სამართალდარღვევაზე, ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს მიეცეს შესაძლებლობა, დამრღვევს ადგილზევე შეუფარდოს სანქცია საჯარიმო ოქმის (ქვითრის) შევსებით, რაც აღნიშნული ორგანოს საქმიანობას უფრო ეფექტიანს გახდის და სამართალდარღვევების პრევენციას მოახდენს).

- საქართველოს პარლამენტის წევრების – კახა კუჭავასა და ნინო წილოსანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/125; 20.02.2018).

კანონპროექტით ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლში შედის ცვლილებები, რომლებითაც განისაზღვრება საავტომობილო მოძრაობის სფეროში თბილისის მთავრობის უფლებამოსილება, კერძოდ: გასცეს ნებართვა მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით გადაყვანაზე; დაადგინოს ნებართვის გაცემის წესი, ნებართვის მოქმედების ვადა, ნებართვის გაცემის ფასი და მისი გადახდის წესი; დაადგინოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქუჩების ჩამონათვალი, სადაც ავტობუსები მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებმა მოახდინეს 3 კანონში ცვლილებების ინიცირება, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ჰარმონიზაციის პროცესთან. ამასთანავე, კომიტეტმა განიხილა საკანონმდებლო ცვლილებების 13 პაკეტი, 48 საერთაშორისო ხელშეკრულება, 3 მემორანდუმი, 1 რეზოლუცია და მოამზადა 3 დადგენილება. მათ შორის აღსანიშნავია:

- „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება.

ცვლილება გამოწვეული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებით. აღნიშნული კანონი ახლებურად მოწესრიგდა საჯარო სამსახურის სტატუსი, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და საჯარო სამსახურის გავლის პირობები და საჯარო სამსახურის მართვის სხვადასხვა საკითხი. აქედან გამომდინარე, საჯარო სამსახურის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელდა „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება, რომელმაც გაითვალისწინა როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეები, ისე ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა დიპლომატიურ სამსახურში არსებულმა პრაქტიკამ.

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება.

ცვლილების მიზანშეწონილობა გამომდინარეობდა „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ასახვისა და კანონით დადგენილი მოხელეთა რეზერვში ჩასარიცხ პირთა წრის სრულყოფის საჭიროებიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ კვალიფიციური კადრის როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნა სახელმწიფო ინტერესია, წარსაგზავნი პირის მეუღლის სახელმწიფო სამსახურთან კავშირის შეწყვეტა შემაფერხებელი ფაქტორი არ უნდა ყოფილიყო. ცვლილების თანახმად, აღნიშნული კატეგორიის პირები მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხებიან. მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას დაექვემდებარებიან დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული პირები, თუ ისინი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის გამო ვერ დაინიშნენ თანამდებობაზე. კანონს დაემატა მუხლები, რომელთა თანახმადაც, მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხებიან ორი კატეგორიის პირები, კერძოდ, მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირის მეუღლე, თუ იგი მივლინებამდე საქმიანობდა სახელმწიფო სამსახურში, და დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული პირები, თუ ისინი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის გამო ვერ დაინიშნენ თანამდებობაზე.

- „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება.

ცვლილება განპირობებული იყო „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით, რომლის თანახმადაც,

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებსა და საქართველოს ინტერესთა სექციაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილი იქნებიან მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალის წევრები, ანუ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამტატო არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პროფესიული საჯარო მოხელეები. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო, კანონში განხორციელებულიყო ცვლილება, რომელიც შეეხებოდა საკონსულო მოსაკრებლის გადახდიდან გათავისუფლებას. კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალის გათავისუფლება, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ნაცვლად.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა იმუშავა 163 საკანონმდებლო აქტისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების 4 პროექტზე, მათ შორის, წამყვანი კომიტეტის სტატუსით – 19 საკანონმდებლო აქტზე, ხოლო იმ კომიტეტის სახით, რომლის დასკვნა სავალდებულოა, – 88 საკანონმდებლო აქტზე. მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული კანონის მიღება წინ გადადგმული ნაბიჯია თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დახვეწის მიმართულებით. კანონით დარეგულირდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებული ურთიერთობები. კანონის მიღებით დაიხვეწა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი, ასევე დეკლარაციის შევსების პროცესი უფრო პრაქტიკული და მოქნილი გახდა. კანონით დეკლარაციის მონიტორინგის პროცესში დადგინდა დეკლარაციაში „არაარსებითი დარღვევის შემთხვევა“. ეს გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: პრაქტიკაში გამოვლინდა, რომ ხშირად დარღვევის ხარისხი იმდენად არაარსებითი იყო, რომ მისი მიჩნევა ისეთ გადაცდომად, რომლისათვისაც სანქციად უნდა გამოყენებულიყო 1000 ლარით დაჯარიმება, აშკარად არ შეესაბამებოდა არც მონიტორინგის მიზნებს და არც სამართლიანობის პრინციპს. შესაბამისად, დეკლარაციის შევსებისათვის კანონით დადგინდა არაარსებითი დარღვევის შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა დროსაც თანამდებობის პირი არ ჯარიმდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ცდომილებები მაინც მიიჩნევა დარღვევად და მათი გამოვლენის შემთხვევაში

მოხდება თანამდებობის პირის გაფრთხილება. კანონით ასევე დადგინდა, რომ არაარსებითი დარღვევის მომდევნო მონიტორინგის პროცესში გამოვლენის შემთხვევაში თანამდებობის პირის დეკლარაცია უარყოფითად შეფასდება და პირი დაექვემდებარება დაჯარიმებას. კანონით შეიცვალა დეკლარაციაში არასწორი და არასრული მონაცემების შეტანის შემთხვევაში დეკლარაციის უარყოფითად შეფასებისას განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა. სამართლიანობის პრინციპის სრულყოფილად დაცვის უზრუნველსაყოფად, 1000 ლარის ნაცვლად, თანამდებობის პირის ჯარიმა განისაზღვრა თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი პროცენტული ოდენობით, კერძოდ, მისი 25%-ით. ამასთანავე, დადგინდა ჯარიმის მინიმალური ოდენობა – 500 ლარი. გარდა ამისა, კანონით დაზუსტდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შესატან მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები, რამაც აღნიშნული რეგულაციები უფრო სამართლიანი და ეფექტიანი გახადა.

- საქართველოს კანონები: „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული კანონის მიღება გამოწვეული იყო „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების მინიჭების წესის მარეგულირებელი ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საჭიროებით. მიღებული კანონით ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები და საქართველოს სახელმწიფო პრემიები, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებს. შესაბამისად, ცვლილება შეეხო აღნიშნული კანონის სათაურსაც და პრეამბულასაც. ამასთანავე, კანონში ცალკე მუხლად გამოიყო საქართველოს სახელმწიფო პრემიების სახეობები. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მიეთითა, რომ პირი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი ჯილდოვდება და პირს საქართველოს სახელმწიფო პრემია ენიჭება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ამ კანონით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოებისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების მინიჭების პირობებისა და წესის შესაბამისად. კანონით შეიცვალა „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოებაზე წარმდგენი სუბიექტები და დაჯილდოებული პირისათვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის წესი. კანონით ერთ შემთხვევაში განისაზღვრა პირის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი – ორდენით დაჯილდოების წესი და ჯილდოზე წარმდგენი სუბიექტები, ხოლო მეორე

შემთხვევაში ცალკე დადგინდა სახელმწიფო ჯილდოთი – მედლით დაჯილდოების წესი და ჯილდოზე წარმდგენი სუბიექტები. კანონით აგრეთვე დადგინდა საქართველოს სახელმწიფო პრემიების გასაცემად ჩასატარებელი კონკურსის პირობები და მის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და მიეთითა, რომ ისინი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

გარდა ამისა, კანონით განისაზღვრა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად შესაბამისი პრემიის ლაურეატთა გამოვლენის მიზნით კანდიდატურები წარედგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილ კომისიას. შესაბამისად, დადგინდა აღნიშნული პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატურათა წარმდგენი სუბიექტებიც. კანონით გათვალისწინებული საკითხების სრულყოფილად რეგულირების მიზნით კანონით დადგინდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენისა და მედლის – დუბლიკატების გაცემის წესი და განსაზღვრა სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევის შემთხვევები.

ამდენად, აღნიშნული კანონით უზრუნველყოფილ იქნა კანონით რეგულირებული საკითხების საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან შესაბამისობა, დაზუსტდა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების მინიჭების სამართლებრივი და პროცედურული ნორმები, აგრეთვე სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებზე წარმდგენი სუბიექტები, რამაც „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციები უფრო სრულყოფილი გახადა.

- „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომებისა და ზუსტი გამოსახულების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღება ეხმიანება და შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებითაც საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი, როგორც სახელმწიფო სიმბოლოები, დადგენილია ორგანული კანონით, რომელიც, მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაისინჯება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის განსაზღვრული წესით. კონსტიტუციური ნორმისა და აღნიშნული საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი, როგორც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები, გაერთიანდა ერთ ორგანულ კანონში – „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლითაც დადგინდა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები. ანუ, სამი საკანონმდებლო აქტის ნაცვლად, ერთ საკანონმდებლო აქტში გაერთიანდა საქართველოს სახელმწიფო გერბის აღწერილობა, საქართველოს სახელმწიფო დროშის აღწერილობა, სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, აგრეთვე „საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომებისა და ზუსტი გამოსახულების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

თუმცა ვინაიდან აუცილებელი იყო საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის რეგულირება, ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ცალკე კანონი – „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო გერბის, დროშისა და ჰიმნის, როგორც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების, გამოყენების წესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რეგულაციები. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვასთან, გამოფენასთან და მისი ორიგინალის შენახვასთან, საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენებასა და მისი ორიგინალის შენახვასთან, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო დროშის ორიგინალის შენახვის ადგილის დადგენის შესახებ“, „საქართველოს სახელმწიფო გერბის ორიგინალის შენახვის ადგილის დადგენის შესახებ“, „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მცირე სახელმწიფო გერბის გამოყენების წესის შესახებ“, „საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საქმიანობაში

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენების წესის შესახებ“ და „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ოფიციალური შესრულების წესის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებები ძალადაკარგულად გამოცხადდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

2018 წლის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ჩაატარა 41 სხდომა, რომლებზედაც განხილულ იქნა 149 საკითხი, მათ შორის, 96 საკითხზე კომიტეტი იყო წამყვანი, ხოლო 51 საკითხზე – კომიტეტი, რომლის დასკვნაც სავალდებულოა. კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 40 საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია, რომელთა უმეტესობაზე კომიტეტი იყო წამყვანი. კერძოდ, კომიტეტი წამყვანი იყო 35 საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე, ხოლო 5 საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე სავალდებულო დასკვნა მოამზადა. მათ შორის აღსანიშნავია:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით შეიქმნა მნიშვნელოვანი მექანიზმები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკს მისცემს შესაძლებლობას, საფინანსო სექტორზე ზედამხედველობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით კიდევ უფრო ეფექტიანად და მოქნილად იმოქმედოს.

- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

2018 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელთა მიზანი იყო მცირე ბიზნესის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ორგანიზაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის მექანიზმების ცვლილება, ცალკეულ დასაბეგრ ოპერაციებზე საგადასახადო შეღავათების დაწესება, ზოგიერთი კატეგორიის გადამხდელთათვის დარიცხული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა, საგადასახადო სანქციების შემსუბუქება, აგრეთვე გადასახადის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნორმის დაზუსტება.

- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (ჭარბვალთანობასთან დაკავშირებით).

ცვლილებები მოსახლეობის ფართო ფენებზე იმოქმედებს. მსესხებელს შესაძლებლობა ექნება, აიღოს იმ რაოდენობის სესხი, რომლის მომსახურებასაც შეძლებს. ის გარემოება, რომ მსესხებელი თავისი შემოსავლებით და ლიკვიდური აქტივებით მოემსახურება სესხს, უზრუნველყოფს პასუხისმგებლობიანი დაკრედიტების სისტემის შექმნას, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით დადებით

გავლენას მოახდენს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

2018 წელს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა განახორციელა მასშტაბური ინიციატივა, კერძოდ: ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით კომიტეტმა ქვეყნის რეგიონებსა და თვითმმართველ ერთეულებში მოსახლეობასა და დაინტერესებულ სუბიექტებთან „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე საჯარო კონსულტაციები ჩაატარა. აღნიშნული ინიციატივა ემსახურებოდა კანონპროექტში საზოგადოების ფართო ფენების მოსაზრებების ასახვას, ასევე პარლამენტისთვის წარდგენამდე კანონპროექტის სრულყოფას. საჯარო კონსულტაციები გაიმართა საქართველოს რეგიონულ ცენტრებში. ღონისძიებაში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. შეხვედრების მონაწილეთა მოსაზრებები ოქმებში აისახა და შესაბამისი რეაგირებისთვის გადაეგზავნა კანონპროექტის ავტორ უწყებას – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. კომიტეტმა სულ 11 საჯარო კონსულტაცია მოაწყო.

ახალი კანონის შექმნა მიზნად ისახავს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კანონის პროექტი ემსახურება სპორტის წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ სათანადო მოქმედებას, მათ შორის, ისეთი მიმართულებებით, როგორცაა სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა, სპორტული მედიცინა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა 10 ნორმატიული აქტის პროექტი, რომელთაგან 8 იყო კანონის პროექტი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა შეიმუშავა და განიხილა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 14 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 39 კანონი), განიხილა 39 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 298 კანონპროექტი), 3 საერთაშორისო შეთანხმება, 1

მემორანდუმი და 10 საკანონმდებლო წინადადება (1 საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შემუშავდა საკანონმდებლო ინიციატივა). კომიტეტის მიერ ინიცირებულ იქნა 6 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 10 კანონპროექტი). მათგან მიღებულია 5 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 8 კანონი), ხოლო 1 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 2 კანონპროექტი) განხილვის პროცესშია. კომიტეტის წევრების მიერ ინიცირებულ იქნა 11 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 27 კანონპროექტი). მათგან მიღებულია 6 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 13 კანონი), ხოლო 5 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 14 კანონპროექტი) განხილვის პროცესშია. აღსანიშნავია:

- „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე 10 კანონპროექტი (№07-2/162/9; 29.12.2017).

საკანონმდებლო პაკეტი არეგულირებს დაგროვებითი საპენსიო სქემის ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებს და განსაზღვრავს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების სქემაში მონაწილეობის წესებსა და პირობებს. დაგროვებითი საპენსიო სისტემა მოქალაქეს შესაძლებლობას მისცემს, შექმნას დანაზოგი, რომელიც დასაქმებულის მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებული ხელფასის პირდაპირპროპორციული იქნება. მას ექნება საშუალება, მიიღოს პენსიის უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ფისკალური სტაბილურობის გათვალისწინებით, დაგროვებითი პენსია საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით ყველაზე ოპტიმალური მოდელია.

დაგროვებითი ხასიათის დანაზოგების სისტემას მთლიან საპენსიო უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. დანაზოგების სისტემა პირს საშუალებას აძლევს, უკეთ დაგეგმოს მომავალი საპენსიო შემოსავალი და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სოციალური უზრუნველყოფის პაკეტზე. გრძელვადიან პერიოდში დაგროვებითი პენსია სოციალურ პენსიასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს.

- საქართველოს კანონების პროექტები: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/212; 26.07.2018).

მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხოლო იმუნიზაცია – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითადი პრიორიტეტი და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინტერვენცია. ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მისაღწევად აუცილებელია აგრებით მოცვის მაღალი დონის მიღწევა და ვაქცინაციით მართვადი დაავადებების მიმართ სათანადო იმუნური სტატუსის

უზრუნველყოფა. საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია მოსახლეობის დაცვა იმუნიზაციის გლობალური მოცვის საშუალებებით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრები სავალდებულო ხდება.

- „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე 5 კანონპროექტი (№07-3/77; 22.06.2017).

საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულია ნარკოპოლიტიკის სფეროს ლიბერალიზაცია. იგი მიზნად ისახავს ახალი ნარკოპოლიტიკის შემოღებასა და დანერგვას, რომლის ფარგლებშიც, რეპრესიული სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ნაცვლად, აქცენტი გაკეთდება მკურნალობაზე, რეაბილიტაციაზე და პრევენციაზე ორიენტირებულ პროგრამებზე.

აღნიშნული რეფორმა გულისხმობს ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციას; ნარკოტიკული დანაშაულისთვის სანქციების ლიბერალიზაციას და ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების სამართლიან განსაზღვრას; იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების პროცედურების გამართვას; ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას; ახლებური ზრუნვის (მომსახურების) გარემოს შექმნას, რომელშიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემის მქონე პირები მიიღებენ დახმარებას, მკურნალობა-რეაბილიტაციისა და პრევენციის სისტემის გაუმჯობესებას და გადარწმუნების კომისიების შექმნას.

რეფორმის მიზნებია: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ნარკოტიკების მომხმარებელთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება; კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესება;

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის მიღების შემთხვევაში: ხელი შეეწყობა აივ/შიდსის და ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციისა და მკურნალობის (C ჰეპატიტის ელიმინაციის) ეროვნული პროგრამების განხორციელებას; განვითარდება ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრები; სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისების დანერგვის შედეგად ქვეყანაში შემცირდება ნარკოტიკების პრობლემური მომხმარებლების რიცხვი; სამკურნალო-სარეაბილიტაციო და ზიანის შემცირების სერვისების სრულად ამოქმედების შედეგად შემცირდება ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული უარყოფითი ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური შედეგები ინდივიდების, თემის და მთლიანად საზოგადოების დონეზე; დაინერგება პირველადი პრევენცია, რის შედეგადაც შემცირდება ნარკოტიკებზე მოთხოვნა, რადგან მოსახლეობას, განსაკუთრებით – მოზარდებსა

და ახალგაზრდებს, ექნებათ ობიექტური ინფორმაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შედეგების შესახებ; პირველადი პრევენციის განხორციელება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას; ჯანმრთელობისათვის საზიანო ქცევების აღბათობა მნიშვნელოვნად შემცირდება და ნარკოტიკების ახალი მომხმარებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაიზრდება; ახალგაზრდები ნაკლებად მოხვდებიან ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კრიმინალურ გარემოცვაში, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესებას და სხვა.

➤ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე 3 კანონპროექტი (№07-3/224; 13.09.2018). კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარე, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოდგენილია ორგანული კანონის სახით. განისაზღვრება შრომის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი. დადგინდება ქმედითი და ეფექტიანი აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმი და ჩამოყალიბდება მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა. გაიმიჯნება დამსაქმებლის, დასაქმებულის, მათ შორის, უსაფრთხოების დაცვასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი პირის და შრომის ინსპექციის უფლება-მოვალეობები, რაც გახდება შრომითი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, შრომის ნაყოფიერებისა და ცნობიერების ამაღლების, სამუშაო ადგილებზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტი.

საპარლამენტო კონტროლი

საპარლამენტო კონტროლი საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრეროგატივაა. საანგარიშო პერიოდი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მხრივ საკმაოდ დატვირთული იყო.

2018 წელს საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ანგარიშები, მათ შორის: საქართველოს ეროვნული ბანკის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა უწყებათა ანგარიშები. პარლამენტის პლენარულ სხდომებსა თუ საკომიტეტო მოსმენებზე მოხსენებებით რეგულარულად გამოდიოდნენ მინისტრები, მათი მოადგილეები, სხვა კონსტიტუციური ორგანოების ხელმძღვანელი პირები.

საქართველოს პარლამენტი მუდმივად ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს. განხილულ იქნა პარლამენტისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3, 6 და 9 თვის ანგარიშები და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

2018 წლის განმავლობაში შესაბამის უწყებებს გაეგზავნათ პარლამენტის წევრის 500-მდე კითხვა. გასულ წელს პარლამენტის კომიტეტებში შემოვიდა და დამუშავდა მოქალაქეთა 9319 განცხადება, რომლებიც ეხებოდა სოციალურ საკითხებს, მართლმსაჯულების სფეროს, პენიტენციურ სისტემაში არსებულ საკითხებს და სხვა. პარლამენტი რეგულარულად ახდენდა რეაგირებას ზემოაღნიშნულ კორესპონდენციაზე, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში პარლამენტიდან გაგზავნილია დაახლოებით 12500 კორესპოდენცია. აქედან, ორგანიზაციებსა და უწყებებში - 8000-ზე მეტი, 852 - უშუალოდ მოქალაქესთან, 3600 წერილის ადრესატია როგორც მოქალაქე, ისე შესაბამისი უწყება.

გასულ წელს ჩატარდა საკომიტეტო მოკვლევა ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ და დაიწყო მეორე საკომიტეტო მოკვლევა მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

შეიქმნა 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელშიც,

ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად, წევრთა უმრავლესობით ოპოზიცია იყო წარმოდგენილი. ამასთანავე, ამ კომისიას საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი ხელმძღვანელობდა. აღნიშნულმა დროებითმა საგამომიებო კომისიამ მიიღო დასკვნა, ხოლო ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტმაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება ზემოხსენებული საკითხისადმი. მნიშვნელოვანია, რომ ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედიის გამომიების პროცესი გრძელდება და ის მკაცრი საპარლამენტო დაკვირვების ქვეშ დარჩება.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია და საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი დადგენილი საპარლამენტო კონტროლის გაზრდილ, უფრო ეფექტიან შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. მათ შორისაა: ინტერპელაციის დახვეწილი პროცედურა; საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება; საგამომიებო და სხვა, ოპოზიციის უფლებებზე ორიენტირებული დროებითი კომისიების შექმნის გამარტივებული წესი; მინისტრის საათი; კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციის მიერ მინისტრის დაბარების უფლება; სხვა ბერკეტები, რომლებიც ინსტიტუციურად აძლიერებს პარლამენტს, პარლამენტის სუბიექტებს, ოპოზიციას და პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებს უფრო დახვეწილს ხდის. გაძლიერდა პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქცია საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე ზედამხედველობის მხრივაც. ამ უწყებების კონტროლის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნდობის ჯგუფის როლი, რომლის მანდატიც დაზუსტდა საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტით.

კომიტეტების საზედამხედველო საქმიანობის დეტალური ანგარიში

აგრარულ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტი ახორციელებდა კონტროლს საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. ამ მიზნით გაიმართა კომიტეტის სხდომები, ასევე გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სტრუქტურული ერთეულებისგან. კომიტეტმა საზედამხედველო საქმიანობის კუთხით 17 საკითხი, რომელთა დიდი ნაწილი უკავშირდებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში არსებული უწყებების საქმიანობას და პროექტების განხორციელების

მიმდინარეობას. აღნიშნული საკითხების განხილვას კომიტეტის 14 სხდომა დაეთმო, კერძოდ:

- 2018 წლის 26 თებერვალს კომიტეტის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- 2018 წლის 12 მარტს კომიტეტის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- 2018 წლის 16 აპრილს კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ანგარიში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე;
- 2018 წლის 17 აპრილს კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რომელიც გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მოსმენილ იქნა შემდეგი ინფორმაციები: სოფლის მეურნეობის განვითარების 2015–2020 წლების და სოფლის განვითარების 2017–2020 წლების სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე); დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მავნებლის (აზიური ფაროსანა) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების თაობაზე (მომხსენებელი: სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე);
- 2018 წლის 10 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კომიტეტს გააცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“;
- 2018 წლის 11 სექტემბერს კომიტეტმა განიხილა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვის“ შესახებ;
- 2018 წლის 24 სექტემბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ინფორმაცია

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გაწეული საქმიანობის შესახებ და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში;

- 2018 წლის 15 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ანგარიში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ექვსი თვის შესრულების შესახებ;
- 2018 წლის 19 ნოემბერს კომიტეტმა მოისმინა სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტის სახელზე შემოვიდა 169 განცხადება, მათ შორის, მოქალაქეთა – 64, ოფიციალური – 105. ყველა განცხადება არის კომიტეტის მიერ კონტროლზე აყვანილი, შესწავლილი, განხილული და რეაგირების მიზნით შესაბამისი უწყებებისათვის გადაცემული.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში 2018 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გამართა 15 სპეციალური (თემატური) ანგარიშის მოსმენა:

- 2018 წლის 27 და 28 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა ანგარიში „2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 30 ივნისის №1181-III დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით“;
- 2018 წლის 20 მარტს სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმოადგინა ანგარიში 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- 2018 წლის 4 აპრილს კომიტეტმა მოისმინა ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2017 წლის ანგარიში;
- 2018 წლის 10 აპრილს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში;
- 2018 წლის 24 აპრილს კომიტეტმა მოისმინა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2017 წლის ანგარიში;

- 2018 წლის 22 მაისს კომიტეტმა მოისმინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2017 წლის ანგარიში;
- 2018 წლის 22 მაისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით 2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- 2018 წლის 6 ივნისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში;
- 2018 წლის 12 ივნისს კომიტეტმა მოისმინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში;
- 2018 წლის 12 ივნისს კომიტეტმა მოისმინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში;
- 2018 წლის 12 ივნისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში;
- 2018 წლის 12 ივნისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს მთავრობის 2014–2020 წლებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესრულების თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების „ჩრდილოვანი ანგარიშები“.
- 2018 წლის 9 ივლისს გაიმართა საკომიტეტო მოსმენა – „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობა და არსებული გამოწვევები.
- 2018 წლის 30 აპრილს და იმავე წლის 1 მაისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ;
- 2018 წლის 15 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური ანგარიში“;
- 2018 წლის 25 დეკემბერს კომიტეტმა განიხილა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს VI პერიოდული ანგარიშის პროექტი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე ჩატარდა შემდეგი მოსმენები:

- საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა;

- საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა;
- საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა.

2018 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე წარდგენილ იქნა 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის წევრად. ამ კომისიის შექმნის მიზანი იყო აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტებისა და საქმის ირგვლივ არსებული გარემოებების დადგენა.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შემოვიდა და დამუშავდა მოქალაქეთა 3195 განცხადება. მათი შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები და მიმართულებები: სოციალური საკითხები, გამოძიებისა და მართლმსაჯულების სფერო, პენიტენციურ სისტემაში არსებული საკითხები, სასჯელისგან გათავისუფლება, იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების გაწევა, საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა პრობლემატიკა და სხვა (კრედიტების რესტრუქტურირაცია, ქონებრივი დავები, შრომითი უფლებები და ა. შ.).

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზედამხედველობის კუთხით განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა მოისმინა:

- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№07-2/220; 28.05.2018);
- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“;
- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“.

საანგარიშო პერიოდში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი მუდმივად ზედამხედველობდა მიღებული კანონების შესრულების პროცესს, რაც გამოიხატებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან რეგულარული თანამშრომლობით.

ინტენსიურად იმართებოდა სამუშაო შეხვედრები საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებული სიხშირით კი – საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, სამინისტროების სტრუქტურებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების წარმომადგენლებთან. ჩამოყალიბდა აქტიური თანამშრომლობა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან.

2018 წლის განმავლობაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრებმა პარლამენტის წევრის კითხვის უფლება 85-ჯერ გამოიყენეს. მათგან დაკმაყოფილებულია 63 კითხვა, ხოლო პასუხგაუცემელია 22 კითხვა.

საანგარიშო პერიოდში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 387 წერილი. ყველა წერილზე მოხდა შესაბამისი რეაგირება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ამ სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კომიტეტის შემდეგი სხდომები:

- 2018 წლის 13 თებერვლის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ანგარიში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. კომიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბიუჯეტის ფორმირების პროცესს და მისი შესრულების მდგომარეობას;

- 2018 წლის 3 აპრილის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაცია დაბა კაზრეთში გარემოს დაბინძურების მდგომარეობის თაობაზე;
- 2018 წლის 16 აპრილის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- 2018 წლის 14 მაისის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ანგარიში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე, ასევე ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაერთიანების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ენერგეტიკის მიმართულებით გაწეული საქმიანობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ კახაბერ კუჭავამ პარლამენტის წევრის კითხვებით მიმართა სხვადასხვა უწყებას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 65 წერილი.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

საკონტროლო საქმიანობის მიმართულებით დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა გამართა 19 საკომიტეტო მოსმენა, რომლებზედაც განხილულ იქნა კომიტეტის საზედამხედველო სფეროში შემავალი უწყებების ანგარიშები და ქვეყანაში არსებული პრობლემური საკითხების მდგომარეობა. კომიტეტმა განიხილა საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ 2017 წლის ანგარიში, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2017 წლის ანგარიში, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში, სსიპ

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2017 წლის ანგარიში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში და სხვა. წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით კომიტეტმა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო უწყებებისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიმართ გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ასევე საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა საკომიტეტო მოსმენაზე განიხილა შემდეგი საკითხები:

- 2018 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა წარმოადგინა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ 2017 წლის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე;
- 2018 წლის 5 აპრილს კომიტეტმა განიხილა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2017 წლის ანგარიში;
- 2018 წლის 30 აპრილს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ წარმოადგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2017 წლის ანგარიში, საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის 2017 წლის დასკვნა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შიდა აუდიტის დასკვნა;
- 2018 წლის 15 მაისს კომიტეტმა მოისმინა სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში;
- კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიში;
- 2018 წლის 11 სექტემბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში;
- კომიტეტმა მოისმინა ანგარიშები ასოცირების შესახებ შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში, კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში შემოვიდა სულ 322 წერილი და განცხადება, მათ შორის, სხვადასხვა უწყებიდან და

ორგანიზაციიდან შემოსულია 247 წერილი და მოქალაქეებისგან მიღებულია 75 განცხადება. წერილები და განცხადებები შესაბამის უწყებებს გადაეგზავნა, ხოლო მათ ავტორებთან შეხვედრები და კონსულტაციები გაიმართა. 2018 წლის განმავლობაში შემოსული 322 წერილიდან 293 ჩამოწერილია. 25 წერილი და განცხადება განხილვის პროცესშია.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომები და სამუშაო შეხვედრები იმართებოდა რეგულარულად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მიგრაციის სამთავრობო კომისია, რელიგიის სააგენტო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სხვა), დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დარგის არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უმაღლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და შესაბამისი საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოების მონაწილეობით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

- 2018 წლის 19 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიში მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხებისა და ამ კუთხით სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- 2018 წლის 19 თებერვლის სხდომაზე კომიტეტმა მოისმინა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ანგარიში 2013–2017 წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის საქმიანობისა და საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების საკითხზე.

საანგარიშო პერიოდში დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში შემოვიდა 200-მდე განცხადება, სხვადასხვა შუამდგომლობა და წერილი. ყველა დოკუმენტი განხილულ იქნა და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

2018 წელს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა, დამოუკიდებლად და პარლამენტის სხვა კომიტეტების მონაწილეობით, ჩაატარა 12 საკომიტეტო მოსმენა:

- 2018 წლის 19 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის, მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- 2018 წლის 28 თებერვალს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა ანგარიში „საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)“ 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- 2018 წლის 27 მარტს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით უვიზო მიმოსვლის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე;
- 2018 წლის 16 აპრილს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს ანგარიში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების, დღის წესრიგით გათვალისწინებული 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- 2018 წლის 14 მაისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინეს სამინისტროს ანგარიში ენერგეტიკის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისგან გამომდინარე დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების და ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაერთიანების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- 2018 წლის 15 მაისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა წარმოადგინა ანგარიში სამინისტროში რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ახალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის თაობაზე და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის კონცეფცია;

- 2018 წლის 25 მაისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს ანგარიში განათლების მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- 2018 წლის 15 ოქტომბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ექვსი თვის შესრულების შესახებ;
- 2018 წლის 6 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს მიერ დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროებში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის ანგარიში;
- 2018 წლის 16 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის ანგარიში;
- 2018 წლის 17 დეკემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს მიერ ენერგეტიკის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2018 წლის სამოქმედო გეგმის 1 წლის შესრულების, ასევე ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაერთიანების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;
- 2018 წლის 17 დეკემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სამინისტროს მიერ ტრანსპორტის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის ანგარიში.
- 2018 წელს ჩატარდა ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის 2 სხდომა:
 - 2018 წლის 26 აპრილს ბრიუსელში, ევროპარლამენტში საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებმა მოისმინეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში 2017

წელს და 2018 წლის პირველ კვარტალში მიღწეული პროგრესის შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა ინფორმაცია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მოქმედების შესახებ; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კომიტეტს გააცნო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკა; საქართველოს სახალხო დამცველმა კომიტეტის წევრებს გააცნო საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა;

- 2018 წლის 18-19 სექტემბერს თბილისში, ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობებთან დაკავშირებით მოხსენებით წარდგინდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე და საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის მიმოხილვის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა მიიღო მოქალაქეთა 36 განცხადება. ყველა განცხადებაზე მოხდა რეაგირება.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის კომპეტენციის სფეროში შემავალი უწყებების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ანგარიშები და მოხსენებები, კერძოდ:

- 2018 წლის 13 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ანგარიში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმების და სამომავლო გეგმების თაობაზე;
- 2018 წლის 20 თებერვალს საკომიტეტო მოსმენაზე საქართველოს დაზვერვის სამსახურმა გამართა საინფორმაციო ბრიფინგი რეგიონში მიმდინარე პროცესებზე;

- 2018 წლის 14 მარტს კომიტეტის გასვლით სხდომაზე საქართველოს დაზვერვის სამსახურმა წარმოადგინა გაწეული საქმიანობის ანგარიში და მიმდინარე მოვლენების ანალიზი;
- 2018 წლის 10 აპრილს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის მოხსენება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიშის თაობაზე“;
- 2018 წლის 8 მაისს გაიმართა საკომიტეტო მოსმენა კიბერუსაფრთხოების თემაზე. განხილულ იქნა კიბერუსაფრთხოების კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარება, გამოწვევები და რისკები, ასევე კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სისტემაში არსებული ხარვეზები და შესაბამისი სამსახურების მიერ გატარებული ღონისძიებები. საკომიტეტო მოსმენაზე კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გაწეული საქმიანობის თაობაზე მოხსენებები წარმოადგინეს საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროების/სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვისა და მიღების პროცესში. კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური ანგარიშები და საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა სხვადასხვა უწყებაში გაგზავნეს 62 კითხვა. მათგან 50 კითხვას სრულყოფილად გაეცა პასუხი, 2 კითხვაზე მიღებულ იქნა არასრულყოფილი პასუხი, 1 კითხვაზე – შუალედური პასუხი, ხოლო 9 კითხვა განუხილველად არის დატოვებული.

საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 153 განცხადება. მათგან პასუხი გაეცა 141 განცხადებას.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გამართა სპეციალური (თემატური) ანგარიშების მოსმენა:

- 2018 წლის 22 მარტს კომიტეტმა განიხილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ანგარიში;
- კომიტეტმა განიხილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის ანგარიში;
- 2018 წლის 10 აპრილს კომიტეტმა განიხილა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- 2018 წლის 10 აპრილს კომიტეტმა მოისმინა სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- კომიტეტმა მიიღო საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2015–2018 წლების საქმიანობის ანგარიში;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა 15 ანგარიში, მათ შორის, ბოლო ანგარიში – 2018 წლის 27 ნოემბერს. როგორც წესი, შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგულარულად აწვდის კომიტეტს საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ ანგარიშს;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ანგარიშის კუთხით კომიტეტმა 2018 წლის 5 აპრილის სხდომაზე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- გაეროს საზედამხედველო ორგანოების წინაშე ანგარიშგების პროცესზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების კუთხით კომიტეტმა 2018 წლის 19 აპრილის სხდომაზე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ 2017 წლის ანგარიში.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის საქმიანობაში.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შემოვიდა 1612 განცხადება, მათ შორის, 878 წერილი. მათგან უწყებებში გაიგზავნა 786 წერილი, განმცხადებელს გაეგზავნა 92 წერილი; ზეპირი კონსულტაცია გაეწია 181 მოქალაქეს; განმეორებითი განცხადებების რაოდენობა, რომლებზედაც უკვე მოხდა რეაგირება, არის 218; ცნობად მიღებულია 335 განცხადება; უწყებებიდან მიღებულია 614 პასუხი.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

საკომიტეტო ზედამხედველობისა და კონტროლის საკითხებზე უფლებამოსილმა სუბიექტებმა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს წარუდგინეს 7 მოხსენება და ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა მოისმინა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა 19 ანგარიში, ინფორმაცია და მოხსენება, მათ შორის:

- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ანგარიში ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის ანგარიში 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობისა და 2019 წლის ამოცანების შესახებ;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ანგარიშის აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განხორციელების მდგომარეობის შესახებ;
- წყალმომარაგების კომპანიის ანგარიში მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში საქართველოს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში

გაზიფიცირების მიმდინარე ღონისძიებებისა და სამთავრობო პროგრამით 2018-2019 წლებში გათვალისწინებული საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიში სოციალური დაცვისა და დასაქმების შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესახებ, საქართველოს დედაქალაქ თბილისსა და რეგიონებში სასკოლო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღნიშნული უფლებამოსილების მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემის მიმდინარეობის შესახებ;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში (სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში);
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციები საქართველოს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ (კომიტეტის გასვლით სხდომებზე).

კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმატით განხილულ იქნა საბიუჯეტო საკითხები, მათ შორის:

- საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის 3, 6 და 9 თვის შედეგების მიმოხილვა;
- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან (დოკუმენტები: „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018–2021 წლებისთვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“) ერთად;
- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№07-2/220/9; 28.05.2018) და „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება;
- საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სამმა წევრმა პარლამენტის წევრის კითხვით მიმართა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს და დადგენილ ვადაში მიიღო პასუხი.

საანგარიშო პერიოდში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 219 წერილი. ყველა წერილი განხილული და შესრულებულია. 200-ზე მეტ წერილზე მიღებულია პასუხი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ჩაატარა 17 მოსმენა, რომლებიც ეხებოდა საგარეო პოლიტიკურ საკითხებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას. კომიტეტში მიმდინარეობდა სპეციალური (თემატური) ანგარიშების მოსმენა შემდეგ საკითხებზე:

- კომიტეტმა მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის, მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- 2018 წლის 27 მარტს ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მოსმენა ვიზების ლიბერალიზაციის თემაზე;
- 2018 წლის 20 თებერვალს გაიმართა საქართველოს დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლების საინფორმაციო ბრიფინგი (დახურული);
- 2018 წლის 12 აპრილს ჩატარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მოსმენა საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებისა და მსვლელობის შესახებ;
- 2018 წლის 15 მაისს ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოსმენა საგარეო საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ახალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის თაობაზე;
- 2018 წლის 4 ივნისს ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოსმენა (დახურული) საქართველოს არაღიარების პოლიტიკის თემაზე;
- 2018 წლის 3 აპრილს ჩატარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის მოსმენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების

მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ;

- 2018 წლის 2 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შუალედური ანგარიში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ“;
- კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოსმენა საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების აღსრულების შესახებ;
- კომიტეტმა ჩაატარა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოსმენა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს VI პერიოდული ანგარიშის“ პროექტის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა დამატებით ჩაატარა 5 მოსმენა, რომლებიც ეხებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს.

საანგარიშო პერიოდში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ დაახლოებით 20-ჯერ მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, რომელზედაც რეგულარულად იღებდა ამომწურავ ინფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გააგზავნა პარლამენტის წევრის 16 კითხვა.

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 80-მდე წერილი. ყველა წერილზე მოხდა შესაბამისი რეაგირება (წერილობითი პასუხი, შესაბამის სამინისტროში/კომიტეტში გადამისამართება, ზეპირი შეტყობინება).

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებდა მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას, ასევე კანონებისა და პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში შემავალი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულებას.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი დებულების შესაბამისად ახორციელებდა ცალკეული კანონების გარდამავალი დებულებებით, საქართველოს პარლამენტის დადგენილებებითა და პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობდა პარლამენტის სხვა კომიტეტებთან და სტრუქტურებთან. კომიტეტი აღრიცხავდა და აანალიზებდა სხვა კომიტეტებიდან და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახურიდან წარმოდგენილ ინფორმაციებს, ყოველი თვის დასაწყისში კომიტეტის ვებგვერდზე ათავსებდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ამსახველ განახლებულ ინფორმაციებს, რითაც პარლამენტის სუბიექტებს და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს საშუალება ეძლეოდათ, მიეღოთ ინფორმაცია როგორც შესასრულებელი, ისე შესრულებული დავალებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მოამზადა და გააგზავნა შემდეგი ინფორმაციები:

- 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მარტამდე პერიოდში საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2018 წლის 1 ივნისამდე პერიოდში საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებითა და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2018 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივნისამდე პერიოდში საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;
- 2018 წლის 1 ივნისიდან 2018 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“ (2019–2022 წლებისათვის). საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა, როგორც საბიუჯეტო პროცესებზე ზედამხედველმა ორგანომ, დაგეგმა პარლამენტის სხვა კომიტეტებში

ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვა და სხვა კომიტეტის მიერ გამოთქმული წინადადებები და რეკომენდაციები საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნასთან ერთად გადაუგზავნა საქართველოს მთავრობას.

კანონმდებლობის შესაბამისად, 2018 წლის ოქტომბერში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ორგანიზება გაუწია საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალების (დოკუმენტი – სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018–2021 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“) და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონების პროექტების საპარლამენტო განხილვებს პარლამენტის კომიტეტებში, საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობაში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა აღნიშნული დოკუმენტები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება და დასკვნა, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა. კომიტეტმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა, კომიტეტში შემოსული სხვა კომიტეტების დასკვნები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, ასევე პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნები გაუგზავნა პარლამენტის თავმჯდომარეს საქართველოს მთავრობისათვის გადასაგზავნად.

- 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში კომიტეტმა განიხილა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და დოკუმენტის „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019–2022 წლებისათვის“ გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტები;
- 2018 წლის ივნისში კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს პარლამენტთან არსებული ორგანიზაციების საბიუჯეტო განაცხადები და მოამზადა შესაბამისი დასკვნები და გადაწყვეტილებები. კერძოდ, კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა:
 - საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს პარლამენტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2019 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს 2019 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის საბიუჯეტო განაცხადი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მუდმივად ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, კერძოდ, თვეში ერთხელ (ნაზარდი ჯამით) სახაზინო სამსახური საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების სრულ ანგარიშს შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროების ჩვენებით და დეტალურ ინფორმაციას მის ერთიან ანგარიშზე განთავსებული სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების შესახებ, სახეებისა და წყაროების მიხედვით.

- კომიტეტმა მოისმინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება და განიხილა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“;
- კომიტეტმა განიხილა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი პროექტი „2019–2021 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“;
- 2018 წლის 28 მაისის სხდომაზე კომიტეტმა მოისმინა „საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის ანგარიში“;
- 2018 წლის 22 ივნისის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“.

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას დაეთმო კომიტეტის 13 სხდომა. მათგან 6 სხდომა დაეთმო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვას:

- 2018 წლის 21 მაისის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კომიტეტს გააცნო საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“;

- 2018 წლის 28 მაისის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში – „საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიში“;
- 2018 წლის 12 ივნისის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№07-2/220; 28.05.2018);
- 2018 წლის 12 ივნისის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი „სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის ანგარიში“;
- 2018 წლის 22 ივნისის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა საქართველოს გენერალური აუდიტორის მიერ წარმოდგენილი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“;
- 2018 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა ანგარიში – „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“;
- 2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“;
- 2018 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა ანგარიში – „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ასევე განიხილა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შემდეგი ანგარიშები:

- „ინკლუზიური სწავლება“, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (19 თებერვლის სხდომა);
- „საირიგაციო სისტემების მართვა, შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2017 წელი“ (11 მაისის სხდომა);
- „ქ. თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებები“, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (7 ივნისის სხდომა);
- „საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები“, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (18 ივლისის სხდომა);
- „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებები“, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (18 ივლისის სხდომა);

- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (8 ნოემბრის სხდომა);
- „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2018 წელი“ (22 დეკემბრის სხდომა).

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა ზედამხედველობა კანონმდებლობის აღსრულებასა და სტრატეგიული დოკუმენტების შესრულებაზე, ასევე საბიუჯეტო ზედამხედველობა:

- 2018 წლის 15 მაისს კომიტეტმა განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“;
- 2018 წლის 7 ივნისს კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“;
- 2018 წლის 7 ივნისს კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“;
- 2018 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“.

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დარგობრივი პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემატიკის წინასწარ შესწავლას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას. ამ მიზნით, საკომიტეტო მოსმენების გამართვის გზით კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სპორტულ და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე სხვა შესაბამის სუბიექტებთან. საკომიტეტო მოსმენებზე განიხილება სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ იმ პროგრამების განხორციელების

მიმდინარეობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერაა მხარდაჭერილი, ასევე ორგანიზაციების მიერ წამოჭრილი აქტუალური საკითხები. კომიტეტის ეს მიდგომა არსებულ პრობლემათა გადაჭრის ხელშეწყობას ემსახურება. მის ფარგლებში კომიტეტში ჩატარდა თემატური მოსმენები, მაგალითად:

- საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის საკომიტეტო მოსმენა;
- საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს საკომიტეტო მოსმენა;
- საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს მოსმენა ევროპის საბჭოს „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“ მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების და „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის“ იუნესკოს საერთაშორისო კონვენციის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების მოსმენა.

საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ ყაველაშვილმა გააგზავნა პარლამენტის წევრის 3 კითხვა.

საანგარიშო პერიოდში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში შემოვიდა 150-მდე განცხადება. კომიტეტმა ყველა განცხადება შეისწავლა და რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებს გადასცა. განცხადებების ძირითადი თემატიკა უკავშირდებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში არსებულ გამოწვევებს, ასევე კომიტეტის წევრებთან შეხვედრებს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა ჩაატარა 40 სხდომა, რომელთა ნაწილზედაც მოისმინა შემდეგი საკითხები:

- 2018 წლის 12 თებერვალს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია 2018 წლის განმავლობაში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- 2018 წლის 20 თებერვალს – ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ;

- 2018 წლის 26 თებერვალს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2017 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- 2018 წლის 1 მარტს – ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2017 წლის ანგარიში და ინფორმაცია 2018 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესახებ;
- 2018 წლის 7 ივნისს – საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- 2018 წლის 11 მაისს და იმავე წლის 13 სექტემბერს – საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 და 6 თვის ანგარიშები.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა განიხილა 1535-მდე განცხადება.

საგარეო და საშინაო პოლიტიკა

ევროპასთან ინტეგრაცია და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება

ასოცირების შეთანხმების უხარვეზო განხორციელება წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს, როგორც საკანონმდებლო, ისე საზედამხებდველო საქმიანობის პროცესში. ამ საქმიანობაში, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული პარლამენტის დარგობრივი კომიტეტები. საკანონმდებლო პროცესის ჰარმონიზების და უკეთ კოორდინირების მიზნით 2018 წელს პარლამენტმა შეიმუშავა ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც 2019 წლის საგაზაფხულო სესიის დასაწყისში დამტკიცდება.

ამასთან, 2018 წლიდან საქართველოს პარლამენტში იწერება ახალი პრაქტიკა, რომლის საფუძველზე, საპარლამენტო კომიტეტები ყოველკვარტალურად აწვდიან ინფორმაციას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს მათ მიერ განხილული კანონპროექტების შესახებ, რომლებიც ასოცირების შეთანხმების განხორციელებას უკავშირდება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა ემსახურებოდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტების შედეგად უზრუნველყოფილია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ 4 რეგულაციასთან, 13 დირექტივასთან და 2 რეკომენდაციასთან საქართველოს კანონმდებლობის სრული ან ნაწილობრივი დაახლოება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის სამართალთან დაახლოება უზრუნველყოფილია აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომელთა შემუშავება ხდება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საფუძველზე.

ევროინტეგრაციის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა საპარლამენტო დიპლომატიის კუთხით. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა თანამშრომლობა ევროპარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფთან.

საქართველოს პარლამენტთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე 2018 წლის 14 ნოემბერს ევროპარლამენტმა პირველი ანგარიში დაამტკიცა. ანგარიშში ევროპარლამენტი მიესალმა ასოცირების შეთანხმების განხორციელებაში მიღწეულ პროგრესს, რამაც საქართველო ევროკავშირის მთავარ პარტნიორად აქცია რეგიონში. ანგარიშში რეკომენდაციებთან ერთად მკაფიოდ არის მითითებული,

რომ საქართველო ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს და თანმიმდევრულად მიუყვება ევროპული ინტეგრაციის გზას.

ევროპარლამენტის წევრებთან სამუშაო შეხვედრების შედეგად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებ სხვადასხვა ეტაპზე გამოეხმაურნენ ევროპის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წევრები - რუსეთის ოკუპაცია და ტატუნაშვილის გარდაცვალების ფაქტი ინდივიდუალური განცხადებებით დაგმეს ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარემ საჯად კარიშმა და ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების დელეგაციის წევრებმა, ევროპარლამენტარებმა, კლერ მუდიმ, ანა გომესმა და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტმა რებეკა ჰარმსმა.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ძალისხმევით და ევროპარლამენტის ჯგუფებთან აქტიური მუშაობის შედეგად, 2018 წლის 14 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის ინტერვენციიდან 10 წლის შემდეგ“.

რეზოლუციის თანახმად, ევროპარლამენტი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. მასში აღნიშნულია, რომ სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარება არის ევროპული უსაფრთხოების წესრიგის ძირითადი პრინციპი. საქართველოს კონფლიქტის მოგვარება არსებითია ევროპულ კონტინენტზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების გასამდიერებლად. კონფლიქტები და საქართველოს ტერიტორიების განგრძობადი ოკუპაცია წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტისთვის. მკაფიოდ მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს საქართველოს რეგიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ევროპარლამენტი რუსეთს მოუწოდებს, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულების უპირობო შესრულებისკენ. განსაკუთრებით იმ ვალდებულების შესრულებისკენ, რომელიც გულისხმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას.

აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციამ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის 2018 წლის მარტის რეზოლუციის პათოსი, შესაბამისად არის კიდევ ერთი საერთაშორისო მხარდაჭერის აქტი და ეფექტიანი საშუალება, რათა საქართველოს კონფლიქტის თემა იდგეს საერთაშორისო დღის წესრიგში.

ღია პარლამენტი

საპარლამენტო ღიაობის 2018 წლის მიღწევები

- გაიზარდა საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა
- გადაადგილებისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებს შეუძლიათ პარლამენტის ტერიტორიაზე მარტივად ადაპტირებულ გარემოში გადაადგილება;
- მოქალაქეების მიერ კანონპროექტებზე გაკეთებულ კომენტარებს პარლამენტის კომიტეტები განიხილავენ და საჭიროების შემთხვევაში დასკვნაში ასახავენ;
- მოქალაქეს შეუძლია მარტივად ნახოს კანონპროექტის განხილვისას პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებები და დააკვირდეს, თუ რა ეტაპები გაიარა ტექსტმა პირველიდან მესამე მოსმენამდე;
- მოქალაქეს შეუძლია მოისმინოს პლენარული სხდომების აუდიო ოქმები;
 - მოქალაქეებს მობილური აპლიკაციის ჩამოტვირთვით, შეუძლიათ საპარლამენტო საქმიანობას მარტივად ადევნონ თვალი.

გაუმჯობესდა პარლამენტის ანგარიშვალდებულება

- პარლამენტის კომიტეტები ვალდებულნი არიან მოამზადონ და გაასაჯაროონ წლიური სამოქმედო გეგმები;
- პარლამენტის თავმჯდომარე ყოველწლიურად ჩააბარებს ანგარიშს სამოქალაქო საზოგადოებას და მოისმენს მათ ინიციატივებს;
- საქართველოს პარლამენტი მოამზადებს და გაასაჯაროებს მისი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს;
- დამტკიცდა პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი.

გაიზარდა პარლამენტის გამჭვირვალობა და ღიაობა

- პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად, ღია და დამუშავებად ფორმატში ქვეყნდება მონაცემები პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე;

მოქალაქეს შეუძლია მარტივად მოიძიოს:

- საკანონმდებლო ინიციატივებისა და მიღებული კანონების სტატისტიკა;
- პარლამენტის მიერ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენლების ანგარიშების მოსმენა;

- ინფორმაცია პარლამენტის დროებითი და საგამოძიებო კომისიების შექმნის შესახებ;
- კანონპროექტთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნები, წინადადებები და მოსაზრებები;
- სადეპუტატო და საკომიტეტო, ასევე ფრაქციების წარმომადგენლების კითხვების სტატისტიკა;
- პარლამენტის ბიუჯეტის შესრულება;
- პარლამენტის წევრების მივლინებებზე დახარჯული თანხები.

ღონისძიებები

2018 წლის ზაფხულში საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მე-5 გლობალურ სამიტს თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსით უმასპინძლა. სამიტი საპარლამენტო ღიაობის კონფერენციით დაიწყო. საპარლამენტო კონფერენციას 24 ქვეყნისა და 12 პარლამენტის 200-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

საქართველოს პარლამენტის აპარატი

განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

- შშმპ პირებისთვის მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა
- გარემონტდა მოეწყო თანამედროვე საარქივო საცავი
- გარემონტდა და მოეწყო სივრცე სტამბისთვის
- პარლამენტის C კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები

პარლამენტის სასწავლო ცენტრის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ქტივობები:

- 2019-2024 წწ. სასწავლო ცენტრის სტრატეგიისა და 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება-დამტკიცება;
- სასწავლო ცენტრის შიდა ტრენერთა განვითარება;
- ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და აპარატის პერსონალის სისტემატიური გადამზადება;
- სახელმწიფო სტრუქტურებში მოქმედ სასწავლო ცენტრებთან (16) თანამშრომლობის დაწყება და მათი ტრენერების მიერ აპარატის თანამშრომლებისა და პარლამენტის წევრებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება;
- დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით თემატური ტრენინგების ჩატარება (20-მდე);
- სტაჟირების ახალი, 6 თვიანი მოდელის დანერგვა;
- სასწავლო ცენტრის სრულყოფილი აღჭურვა.

პარლამენტის კვლევითი ცენტრის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- კვლევითი დეპარტამენტის შესაძლებლობების შესწავლა;
- რეგლამენტში აისახა ახალი სსიპ „პარლამენტის კვლევითი ცენტრი“, ამოქმედდება 2019 წ 1 აპრილიდან გაზრდილი ფუნქციებით, დაფინანსებითა და მოქნილობით;
- მაისში ჩატარდა ECPRD-ის წლიური კონფერენცია რეგულირების გავლენის შეფასებაზე 25 ქვეყნის პარლამენტის კვლევითი სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით.

პარლამენტმა საკუთარი რესურსებით მოამზადა და დანერგა პარლამენტზე მორგებული საქმის წარმოების ახალი ელექტრონული სისტემა. ამავდროულად მინიმუმამდე იქნა დაყვანილი კანონპროექტების ბეჭდვა და პლენარული სხდომის

დარბაზი და ბიურო აღჭურვილ იქნა პლანშეტებით, სადაც ჩატვირთულია კანონპროექტების ელექტრონული ვერსიები.

მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს გაძლიერების კუთხით განხორციელდა:

- ბიუროების საჭიროებების შესწავლა
- ბიუროების თანამშრომელთა რეგიონებში რეგულარული ტრენინგები პარლამენტის სასწავლო ცენტრის შიდა-ტრენინგების გუნდის მიერ
- ბიუროს თანამშრომელთა სტაჟირება პარლამენტში (2 კვირიანი სტაჟირება სხვადასხვა დეპარტამენტებსა და კომიტეტების აპარატებში; სულ 57 თანამშრომელი არის ჩართული სტაჟირების პირველ ფაზაში)

აპარატის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით განხორციელდა:

- საქართველოს პარლამენტის აპარატის ინიციატივით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების აპარატის უფორსების ქსელის შექმნა თბილისის მემორანდუმის ბაზაზე;
- ქსელის ფარგლებში შეიქმნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტის კვლევითი სამსახურების ქსელი;
- დეკემბერში საქართველოს პარლამენტის აპარატი არჩეულ იქნა ქსელის თავმჯდომარედ 1 წლის ვადით;
- სტრატეგიული პარტნიორობა დაიწყო გერმანიის ბუნდესტაგის, ისრაელის, პოლონეთის სეიმის, ლიეტუვას, ლატვიისა და ესტონეთის პარლამენტის აპარატებთან.

ინფორმაცია 2018 წლის განმავლობაში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ფისკალურ ჩარჩოში მისთვის განსაზღვრული - დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციის როლის შესაბამისად, ამზადებს დამოუკიდებელ ფისკალურ და მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის/შესრულების და მაკროეკონომიკური გარემოს ძირითადი ტენდენციების პერიოდულ ანალიზს, ამზადებს კვლევით პუბლიკაციებს ფისკალურ/მაკროეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. დამოუკიდებელ მაკროეკონომიკურ/ფისკალურ პროგნოზებთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ და ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად გამოქვეყნებულ იქნა ეკონომიკური ზრდის დამოუკიდებელი კვარტალური პროგნოზები.

- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის გასული წლის 1 ივნისს ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენის გათვალისწინებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ და ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად გამოქვეყნებულ იქნა დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები სრული მაკროეკონომიკური ჩარჩოსათვის საშუალოვადიანი პერიოდისათვის (2019-2022 წწ.), საქართველოს პარლამენტისათვის ალტერნატიული საპროგნოზო მაჩვენებლების წარდგენის მიზნით. ხოლო, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 2019-2022 წწ.-ებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის(BDD) წარდგენის გათვალისწინებით, ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მოხდა ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური პროგნოზების განახლება.

ბიუჯეტისა და მაკროეკონომიკური გარემოს ძირითადი ტენდენციების შესახებ პერიოდულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ და ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად გამოქვეყნებულ იქნა:

- ყოველთვიური და კვარტალური მიმოხილვები 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის, ასევე მაკროეკონომიკური გარემოს ძირითადი ტენდენციების შესახებ.

- საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა.

- 2017 წლის მაკროეკონომიკური გარემოს წლიური მიმოხილვა, რომელშიც წარმოდგენილ იქნა მაკროეკონომიკური გარემოს ძირითადი ტენდენციები ეკონომიკის ოთხივე სექტორისათვის.

- „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (პირველი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტი) მიმოხილვები, რომლებიც ასახავს საშუალოვადიან პერიოდსა და დასაგეგმი წლისათვის ფისკალურ გარემოს ძირითად ტენდენციებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული საკანონმდებლო ცვლილებების ძირითად მახასიათებლებს.

- საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ინფოგრაფიკი, რომელიც მომზადდა საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის

მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ დამტკიცებული ღია პარლამენტის 2018-2019 წწ. გეგმით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის(GGI) მხარდაჭერით და მიზნად ისახავს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მარტივი და გასაგები და ვიზუალურად დამუშავებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულ იქნა ცალკეული კვლევითი/თემატური პუბლიკაციები შემდეგ საკითხებზე:

- დაგროვებითი საპენსიო რეფორმის არსი და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე - პუბლიკაცია მიზნად ისახავს წარმოადგინოს პარლამენტში წარმოდგენილი დაგროვებითი საპენსიო სისტემის მოსალოდნელი გავლენის შეფასება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და იმ პირებზე, რომლებიც ჩაერთვებიან აღნიშნულ სისტემაში.
- დამატებული ღირებულების გადასახადის გაპის შეფასება საქართველოსათვის - პუბლიკაცია მიზნად ისახავს წარმოადგინოს ქვეყანაში დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) პოტენციურ დონისა და გაპის შეფასება (სხვაობა პოტენციურ და ფაქტობრივ შემოსავლებს შორის). პუბლიკაცია ეყრდნობა მაკროეკონომიკურ, ე.წ. „ზემოდან-ქვემოთ“ მეთოდს და საანალიზო მაჩვენებლებს აფასებს როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთობლივი ბაზის, ასევე ეროვნული ანგარიშების ცალკეულ სექტორულ მონაცემთა გამოყენებით 2007-2016 წწ პერიოდისათვის.
- კვლევითი პუბლიკაცია „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში: გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი“ - პუბლიკაცია მომზადდა გენდერული თანასწორობის 2017 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) უკეთესი მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით და წარედგინა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს. პუბლიკაციაში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების დონის შეფასების ერთიანი ჩარჩო გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსის სახით, მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების პროგრამებისათვის განხორციელებულია პროგრამების არსებული მიზნებისა და შედეგების/შედეგების შეფასების ინდიკატორების ანალიზი და წარმოდგენილია ის სარეკომენდაციო ინდიკატორები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხარჯავი დაწესებულებების მიერ კონკრეტული პროგრამის გენდერულ ასპექტში მისაღწევი შედეგების შეფასებისათვის.

საქართველოს პარლამენტის 2019 წლის გეგმები

კანონშემოქმედება

პარლამენტი სამომავლოდ განახორციელებს არაერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო რეფორმას. მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემის მიმართულებით, რაც ჩვენი სახელმწიფოს სამომავლო დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, რაც გამოხატული იქნება მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების ზრდასა და მათი ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებაში. ასევე, პარლამენტი იმუშავებს საარჩევნო კოდექსის დახვეწასა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონის გადასინჯვაზე, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური და საარჩევნო გარემოს კიდევ უფრო გაჯანსაღებას.

კონსტიტუციურ დონეზე გამყარდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, კერძოდ, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ჩაიწერა, რომ კონსტიტუციურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, უფრო მეტი ენერჯით გავაგრძელებთ ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე კანონმდებლობის ჰარმონიზაციასა და დაახლოებას. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს გულისხმობს ცხოვრების უკეთეს პირობებს, ჯანდაცვის, სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის, განათლების თანამედროვე სტანდარტებს.

გარდა ამისა, დაგეგმილია მუშაობა:

- სამხედრო კანონმდებლობის კოდიფიკაციაზე - თავდაცვის კოდექსზე;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადასინჯვაზე;
- ბავშვის უფლებათა კოდექსზე;
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანაზე;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებასთან დაკავშირებული გამონაკლისების შესახებ ორგანულ კანონზე;
- ტყის კოდექსზე;
- შშმ პირთა დაცვის შესახებ კანონზე;
- შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწაზე.

საპარლამენტო ზედამხედველობა

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციითა და ახალი რეგლამენტით დადგენილია საპარლამენტო კონტროლის გაზრდილი, უფრო ეფექტიანი შესაძლებლობები, რომლებიც ინსტიტუციურად აძლიერებს პარლამენტს, პარლამენტის სუბიექტებს, ოპოზიციას და პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებს ხდის უფრო დახვეწილს. მათ შორის:

- ინტერპელაციის დახვეწილი პროცედურა;

- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება;
- საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნის გამარტივებული წესი;
- მინისტრის საათი;
- კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციის მიერ მინისტრის დაბარების უფლება;
- ნდობის ჯგუფი გაზრდილი მანდატით.

საგარეო ურთიერთობები

პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის კონტექსტში, საერთაშორისო გარემოს, მასში საქართველოს როლისა და ქვეყნის წინაშე არსებული საშინაო და საგარეო გამოწვევების გათვალისწინებით, პარლამენტის მიერ საგარეო ასპარეზზე გადადგმული თითოეული ნაბიჯი კვლავაც მოემსახურება შემდეგ ძირითად მიზნებს:

- საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება, ოკუპირებული რეგიონების არალიარების პოლიტიკის გატარება;
- ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავება;
- დემოკრატიული რეფორმების გატარებასა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად უცხოელი მეგობრებისა და პარტნიორების აქტიური ჩართულობა;
- ქვეყნისთვის კრიტიკული საკითხების ირგვლივ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება, მნიშვნელოვან მოვლენებზე საგარეო კომუნიკაცია;
- პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერება.

ამ მიზნების მისაღწევად გაგრძელდება საპარლამენტო ურთიერთვიზიტები, შეხვედრები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების და მეგობრობის ჯგუფების აქტიური საქმიანობა, მეგობარ პარლამენტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობა.

საქართველოს პარლამენტი ღია იქნება ყველასთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია პარლამენტთან ურთიერთობა და ჩართულობა, საპარლამენტო დიპლომატია, პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერება, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, საზოგადოების მედეგობის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

ღია პარლამენტი

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, მასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრების და სხვა დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით და ერთობლივი მუშაობის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 5 ამბიციურ

ვალდებულებას და რომლის მიზანია პარლამენტის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულების კიდევ უფრო გაზრდა.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის ვალდებულებებით, იგეგმება:

- პარლამენტში მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნა;
- საპარლამენტო დემოკრატიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება;
- ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა;
- პარლამენტის მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი.

გენდერული თანასწორობა

საქართველოს პარლამენტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომლის ამოცანებია სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება, გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე, სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი.

საბჭოს ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ისეთ საკითხებზე მუშაობას, როგორცაა სექსუალური შევიწროება, მშობლის დეკრეტული შვებულება, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვა, შრომის ანაზღაურების სხვაობის გამოთვლის მეთოდოლოგიის შექმნა და სხვა. 2019 წელს საქართველოს პარლამენტი, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით, კვლავაც აქტიურად გააგრძელებს აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს.

პარლამენტის აპარატი

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობა. ამისათვის აუცილებელია მათი პროფესიული ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით იგეგმება პარლამენტის სასწავლო ცენტრის განვითარება. მაგალითად, მიმდინარეობს ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება, დისტანციური სწავლების დანერგვა და სასწავლო მეთოდური ბიბლიოთეკის შექმნა.

ამასთან, პარლამენტის კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო საქმიანობის ხელშესაწყობად საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით 2019 წლის 1 აპრილიდან ჩამოყალიბდება პარლამენტის კვლევითი ცენტრი, რომელიც გაზრდილი ფუნქციებით, დაფინანსებითა და მეტი მოქნილობით მოემსახურება პარლამენტის საჭიროებებს.

აგრეთვე, პარტნიორი პარლამენტების აპარატების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისთვის იგეგმება პროფესიული და სტაჟირების პროგრამების გაფართოება.

გაგრძელდება საქართველოს პარლამენტის სასახლის ინფრასტრუქტურის განვითარება. დაგეგმილია პარლამენტის სასახლეში თანამედროვე საკონფერენციო სივრცეების მოწყობა, პარლამენტის გარე და შიდა ფასადის რეაბილიტაცია, სასწავლო ცენტრისათვის აშენდება დამატებითი აუდიტორიები და სხვ.

2019 წელს იგეგმება მწვანე პარლამენტის კონცეფციის შემუშავება და განხორციელება.